

9 772298 095006


საზოგადოებრივ-ცოცხალთა დროის ჟურნალი

თარგმნის
სამსახური

პერილი

ფასი 2 ლარი

1134
2020



2020 / აპრილი

4 (290)

დადგენილი
თარგმანებსა
და ლიტერატურაზე



პორტრეტი	1	ნანა კობაიძე ლელა დუმბაძე თარგმანებსა და ლიტერატურაზე
პოეზია	9	ნიკა ჯორჯანელი
	15	ნატო ინგოროყვა
	21	ირმა შიოლაშვილი
	24	ნინი ელიაშვილი
	27	შიო ლალუაშვილი
	29	თემურ ჩხეტიანი
პროზა	31	ნინო გუგუშაშვილი ორი კენჭი ანუ აქ იყო ჩაკ ბერი
	39	კობა ცხაკაია ტალახა
თარგმანი	44	ფელისიან მარსო ხალხი ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ინა არჩუაშვილი

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რადი აბაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყელოძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დასასვენებელი სინდინდითა

ხუბან-საბა

პრილი - მზის შუში, რამეზე დამდარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
გარეკლი

ბალახი

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნაღში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ყურნაღი გამომცემი
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



ქვეყნის
სახელი

ნანა კობახიძე

ლელა დუმბაძე თარგმანებსა და ლიტერატურაზე



ისე მოხდა, უმეტესად ქალ ავტორებს თარგმნის, ამიტომ მათ მიმართ გამორჩეული კეთილგანწყობა არ გამოვლენებოდა. ლაპარაკსაც ქალით ვიწყებთ, თუმცა ჩვენი სპონტანური დიალოგის "მიზეზი" უცხოელი კი არაა, ქართველი მწერალია: მაგიდაზე ზაირა არსენიშვილის წიგნი უდევს, ხელახალი გამოცემა, მკითხველთან მისვლა ლამის ორი ათეული წლით რომ დაავგინა. წიგნებისა და მათი შედის ამბავია (სადღაც, ობლის კვერისაც), რომელიც ზოგჯერ თარგმანებზეც ვრცელდება - ჰქონდა პროფესიულ ბიოგრაფიაში მსგავსი "გამოცდილება". სწორედ ამაზე ვისაუბრებთ ლელა დუმბაძის მყუდრო ბინაში - თარგმანებსა და ლიტერატურაზე.

თარგმანის ლაბორატორია

სტუდენტობიდან მოყოლებული თარგმნიდა. შელის ლექსებით დაიწყო და ნელ-ნელა პროზაც გაუჩნდა. იმ პერიოდში ჟურნალ "საუნჯეში" მისი საცვარელი ლექსების, ისინი გურჯულიასა და ლულუ ფალავას მიერ გადმოქართულებული ჰემინგუეის "ვის უმბობს ზარი" იბეჭდებოდა. ამან ინტერესი კიდევ უფრო გააღვივდა. მოგვიანებით მთარგმნელობით კოლეგიაში მივიდა, სადაც მისი მომავალი საბოლოოდ გადაწყდა.

მთარგმნელობითი კოლეგია სახელოვანი ორგანიზაცია იყო - ერთგვარი თარგმანის ლაბორატორია, რომელმაც არაერთი ოსტატი გამოზარდა. იქაური ტრადიციით, ახალბედასთან აუცილებლად გამოცდილი მთარგმნელს უნდა ემუშავა. გაუმართლა და თამარ ერისთავთან აღმოჩნდა, რომელსაც, მისივე თხოვნით, მიქელანჯელოზე ირვინგ სტუენის რო-

მანიდან ნაწყვეტები მიუტანა. ქალბატონი თამარი მხოლოდ საკუთარ შეფასებას არ ენდო და აზრის-ხვედრაც ჰქონდა. შეთანხმდნენ, რომ საინტერესოდ თარგმნიდა.

პირველსავე ჯერზე დევიდ პერბერტ ლორენსის "პრუსიელი ოფიცერი" ანდეს, ურთულესი ტექსტი. გაუჭირდა, მაგრამ დიდი შრომის შემდეგ, გამოუვიდა. მოეწონათ და "საუნჯეში" დაბეჭდეს. ამას მოჰყვა "ნუ მოკლავ ჯაფარას". ეს სერიოზული ამბავი იყო დამწყები მთარგმნელისთვის, მით უფრო, საბჭოთა რეალობაში, თუმცა ნაწარმოების მნიშვნელობა მხოლოდ წლების შემდეგ გააცნობიერა ქართულმა საზოგადოებამ.

ლორენსით და მისი რომანებით მოგვიანებით ისევ დაინტერესდა - თარგმნა კიდევ ნაწყვეტები "ვაჟები და საყვარლებიდან". ამასობაში მიძიე 90-იანებიც დაიწყო - სირქის პერიოდი ლიტერატურაში.





ნუ მოკლავ ჯაფარას

მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ტექ-
სტის დებიუტმა ქართულ სინამდვილემ უღიმღამოდ
ჩაიარა. რომელი 1960 წელს დაიწერა, 61-ში პულიცერ-
ის პრემიით აღინიშნა. ერთი წლის შემდეგ ამერ-
იკელმა რეჟისორმა რობერტ მალიგანმა ნიგნის მი-
ხედვით ფილმი გადაიღო, რომელმაც ატიკუს ფინ-
ის როლი გრეგორი პეკმა ითამაშა. სურათმა წიგნს -
პოპულარობა, მსახიობს კი "ოსკარი" მოუტანა. სწო-
რედ მისი დაბნარეობით გაიცნო ნაწარმოები მაშინ-
დელმა მსოფლიომ, მათ შორის, სატელე მაყურებ-
ელმაც. ტექსტი რუსულადაც ითარგმნა, თუმცა იმ
პერიოდში ამერიკულ ლიტერატურაზე ხელი ყველას
არ მოუწვდებოდა. ნიგნი ცოტას ჰქონდა ნატიხული,
ამიტომაც ფილმის სათაური ბევრისთვის გაუგებარი
დარჩა. To Kill a Mockingbird-ს თარგმნიდნენ, რო-
გორც "მოკვდეს ჯაფარა", "მოკლა ჯაფარა" - რაც,
ფაქტობრივად, მეკდარი ღრაზა იყო. ეს ბუნებრივი-
ცაა, რადგან თუ რომანი არ ნატიკითხვას და ის კონ-
კრეტული ადგილი არ გიპოვია, სადაც ავტორი ამ
ყველაფერზე საუბრობს, ძნელია მისი აღქმა.

სინამდვილეში პარპერ ლის ჯგუფი არ არის ჩვეულებრივი ჩიტი. ერთგვარი მეტაფორაა, რასობრივი დისკრიმინაციისა და სოციალური უთანასწორობის სიმბოლო, რომლის სინამდვილაც მწერალმა გაილაშქრა. *„ერთადერთი, რასაც ჯგუფი შეერგა, ისაა, რომ მღერის და გვარჯობს. ის არც ბალ-ობსტებს გვიჩინავებს,*

არც კალოსთან იბუდეებს, ცუდს არაფერს სჩადის და ადამიანს არაფერს უშავეებს, მხოლოდ გალობს და გალობს და გალობით გვატყობს. აი, რატომბა ცოდვა ჯავრთან მოკვლა" - ამბობს ერთ ეპიზოდში ბატიკუს ფინჩი. სწორედ ესაა გიგანტები რომანისა და მისი სახელწოდების გასატყობი. წიგნის ქართული სათაურიც ამ მონაცემთა განაპირება.

“ჯაფარას” დიდხანს თარგმნიდა, თითქმის ორ წელიწადს - 1983-დან 85-წლამდე. იმ პერიოდში ჯერ ისევ ხელით წერდნენ, არ საბჭუქე მანქანაზე, უამრავი ათეულობედნენ ერთსა და იმავე თავს. პირველი გამოცემა მაინც(დამაინც) წარმატებული არ გამოდგა. იმ თვალსაზრისით, რომ გაქვდა “საბჭოთა აჭარას” მიანდეს. ტექსტი ორად ზეიყო და უზარისყო ქალად-დზე და უსახური ყდით გამოიცა. ნაწილებს შორისაც დიდო პუბლიკა იყო: პირველი 1985 წელს გამოვიდა, მეორე - 86-ში. გამოხმაურებაც არ მოჰყოლია - იმდროინდელ გამოცემებში ჩაიკარგა. ერთადერთი, მთარგმნელმა “იხიარა”: იმის გამო, რომ აჭარას ავტონომიის სტატუსი ჰქონდა, ორი შონიწარი გამოქვეყნეს - მთარგმნელობითი კომისიისა და აჭარისგან. მაშინ-დელი საბჭოეთი ასეთი უცნაური წარმონაქმნი გახლდათ.

მესამე სიცოცხლე

თავის დროზე ახალგამოსული "ჯაფარა" ვერ ნავიკითხე, თუმცა წლების შემდეგ ხელში სწორედ ეს გაცრეცილი გამოცემა ჩამივარდა. იმ პერიოდში ქარ-

თულ სინამდვილეში პარპერ ლის მეორე სიცოცხლე იწყებოდა: 2011-12 წლებში გამოცემულმა გია დარ-სალიამ მისი ხელახლა დაბრუნება განიზრახა. ტექსტი თავიდან დაარედაქტირდა. ამასობაში პარპერ ლი ახად გახდა. შეიცვალა მისი მეურვეც, რომელთანაც ახალი კონტრაქტი "ბაკურ სულაკაურის გამოცემულ-ობაში" გააფორმა. ნიგე კიდევ ერთხელ, აზერბაი-დან შესამდე გამოიკცა. ასე დაიწყო მისი ახალი სიცოცხლე ქართულ რეალობაში, რომელიც, იმედია, დიდხანს გასტყნის.

ლელა დუმბაძე: "ვილცამ შეიძლება კითხვა და-იწყოს და თქვას, რა არის ამაში ასეთი გადასარე-ვიო? ას გვერდს ვინც გადალაზავს, ვინც გვადედა, რა-ცაა. მხოლოდ მინარსობრივად კი არა, საოცარი შე-გნა მხატვრულადაც. სტრუქტურული თვალსაზრი-სითაც კარგადაა აგებული და საკითხავადც საინტე-რესოა: ბავშვების თავდადასავლიცაა, გასართობი ამბებიც, ჟურნალიც. მწერალი ისეთ რაღაცეებზე და-გადიქრება შეპარვით, ძალდაუტანებლად, რაზეც შე-საძლოა, მანამდე არ გიფიქროს: მაგალითად, სამარ-ულიანობისთვის ბრძოლა მშინავს აქვს აზრი, როცა წინასწარ იცო, რომ მარცხისთვის ხარგანწირული. ამის მაგალითია მთავარი პერსონაჟი - ატიკუს ფინ-ჩი; რომ ადამიანს არასოდეს უნდა მოეცეცოს ის, რო-გორც თავად არ ვინდა მოგვეცენ და სხვა. ამიტო-მაცა, ბევრმა ქვეყანამ ეს რომში სასკოლო პროგრამა-ში შეიტანა. გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ მარტო აშშ-ს კი არა, გაერთიანებული სამეფოს სკო-ლებსაც სახელდებულ ლიტერატურის სიაში აქვთ. თუმცა, სასკოლო პროგრამებში მისი აკრძალვის არა-ერთი შემთხვევაც ყოფილა".

საქართველოში პარპერ ლი სასკოლო პროგრამა-ში არ შედის, მაგრამ ბოლო წლებში ბევრმა წაიკითხა. "ნუ მოკლავ ჯაფარას" 11-12 წლის მოზარდებისთვის შედგენილი ნიგნების თითქმის ყველა ჩამონათვალი შეზედგებიო. თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ნების-მიერი თვალსაზრისით ღია და გახსნილია, ამაში არა-ფერია ვასაკირო. საინტერესოა, როგორ მიავსო მას გასული საუკუნის 80-იანებში თამარ ერისთავმა, იმ დროს, როცა შერბილებული ცენზურის მიუხედავად, სისტემა მაინც ჩაკეტილი დარჩა?

ლელა დუმბაძე: "თამარ ერისთავი, მისი თაობის სხვა მთარგმნელების მსგავსად, დიდად ერეოდრე-ბული ადამიანი გახლდათ. თავდაც შესანიშნავი მთარ-გმნელი და პოეტი, მაშინდელ ლიტერატურულ პრო-ცესებში კარგად ერეოდრე. ვერ გეტყვით, როდის წაიკითხა ეს წიგნი. ცხადია, რუსულად უკვე თარ-გმნილი იყო, სხვა შემთხვევაში რუსულენოვანი იქნე-ბოდა მისი გამოცემა (მოგესტყვებათ იმდროინდელი ცენზურის ამბავი). ფაქტია, ქალბატონმა თამარმა იცოდა "ჯაფარას" ფაზი და მის აზრსაც ჰქონდა წონა და ძალა".

იმ დროს "ნუ მოკლავ ჯაფარას" პარპერ ლის ერ-თადერთი გამოცემვენული რომანი იყო, რომელიც არაერთ ენაზე ითარგმნა და თავიდანვე ბესტსელერ-ი გახდა. მის ქართველ მთარგმნელს სულ აინტერე-სებდა, ჰქონდა თუ არა დაწერილი კიდევ რამე ამ უც-ნაურ მარტოხელა ქალს, რომელიც დიდი მწერლის, ტრუმენ კეპოტის უახლოესი მეგობარი იყო და ლა-მის მისი პირადი მდივანიც გახდა (სხვათა შორის,

ტრუმენ კეპოტი ამ ნიგნის ერთ-ერთი პერსონაჟის, ბილის - ჭყიტას მეგობრის პროტაგონია). თარგმნის პროცესში ბევრი ძეგა, მაგრამ სხვას ვერავფერს მი-აკვლია. ან რას იპოვიდა, რაც არ არსებობდა? თუმ-ცა, სულ რამდენიმე წლის წინ გაირკვა, რომ მწერალს კიდევ ჰქონია ტექსტი, რომელსაც მკითხველისგან საგულდამალოდ მალავდა.

საქენ ისაა, რომ პარპერ ლის მეურვე და ოურიდი-ული წარმომადგენელი მისი უფროსი და, ელისა გახ-ლდათ, უმცროსის მსგავსად, ისიც უშიგლო და გა-უთხოვარი. ერთად ცხოვრობდნენ და იმის გამო, რომ პარპერი ცუდად ხედავდა და საფარძელს იყო მიჯაჭ-ვული, მის საგამომცემლო საქმიანობაზე თავად მარ-თავდა. 102 წლის გარდაიცვალა და ბოლომდე პირ-ნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ამის შემდეგ მწერლის ახლობელები შეესივნენ. სწორედ მათ აღმოაჩინეს ხელნაწი, რომელიც რომანში აღ-წერილი პერსონაჟების შემდეგ ცხოვრებას ასახავს. მთავარი გმირი - ჭყიტა იქ 21 წლისაა და ნოუ-იორკში ჩამოდის, სადაც მამამისი, ატიკუს ფინჩი ელოდება.

ლელა დუმბაძე: "ისეთი წიგნია, "ჯაფარას" გავ-რძელება გეკონება. სინამდვილეში მანამდე დაიწე-რა. როგორც ჩანს, გამოცემული ნიჭიერი და შორ-სმჭვრეტელი ადამიანი იყო და პარპერს შესთავაზა, რომანს პერსონაჟების, მთავარი გმირი გოთონასა და ბიჭის ბავშვობაზე დაეწერა. მწერალმა დაუფერა და არაგველდებოდა ნაწარმოებიც შეიქმნა, წინა-რომანი კი სიეფში შეინახა და მხოლოდ დის გარდა-ცვალების შემდეგ, ახლობლების დაფინანსებით თხო-ვნით გამოაქვეყნა. ძნელი სათქმელია, ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, მიიღებდა თუ არა ამ გადაწყვეტილებას. ფაქტია, ამით თავგანისმცემ-ლების არმია ძალიან გააბარა. "მიდი, დააყენე დარა-ჯი" საინტერესოდ იკითხება და მოუხედავად იმისა, მხატვრული ღირებულებით ჩაოლუვრდება, პრობ-ლემატიკით ისეთივე აქტუალურია, როგორც თავის დროზე მისი შეილიმილი "ჯაფარა". 1957 წელს და-წერილი და 2015 წელს გამოცემული "მიდი, დააყენე დარაჯი" ამერიკაში დღეს გამწვავებული რასობრი-ვი პრობლემების ფონზე მოულოდნელად თანამედ-როვედ გამოიყურება".

უცნობი ხელნაწერის შესახებ ხუთი წლის წინ გაცხადდა. სხვადასხვა ქვეყნის გამოცემელებმა არ-ნახული რაოდენობით შეისყიდეს საავტორო უფლე-ბები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო "ბაკურ სულაკაურის გამოცემელობაც". ამ ტექსტის თარ-გმნა ამერიკელი გამოცემიდან ორი თვის შემდეგ და-იწყო და მალევე დაამთავრა. მწერლის სამშობლოში ნიგნე 2015 წელს გამოვიდა, ჩვენთან - 2016-ში. ბე-ვრმა წაიკითხა, მაგრამ ისეთი შთამბეჭდავი ვერ აღ-მოჩნდა, როგორც "ჯაფარა". თუმცა, როგორც მთარ-გმნელი ამბობს, დისკრიმინაციის თემა, რომელიც ამ რომანშიც წამყვანია, სიღრმისეულად ეხმაინება ამე-რიკის საზოგადოებისთვის დღესაც მტკივნეულ პრობ-ლემატიკას.

თავის დროზე, ნიგნზე მუშაობისას, ძალიან უნ-დოდა პარპერ ლის გაცნობა; მაგრამ იმ პერიოდში ეს შეუძლებელი იყო. როცა საზღვარსარაღები გახსნა, პარ-პერ ლი უკვე ხანდაზმული და საფარძელს მიჯაჭუ-ლი გახლდათ. დღესდღეობით რომელიმე საინტერე-

სო თანამედროვე მწერლის თარგმნას ისურვებდა, ვისაც, საჭიროების შემთხვევაში, რჩევას ჰქონდავდა ან აზრებს გაუზიარებდა.

სანთლის შექმნა ნათარგმნები

გასული საუკუნის 90-იანებში მისთვის მხატვრული ლიტერატურა ჩაიკეტა, მაგრამ ყველაზე ხელისაყრელი იყო ისევ დროის ისევე ინგლისურმა ენამ გადაარჩინა: ასწავლიდა ინგლისურს და პარალელურად, თარგმნიდა. თარგმნიდა სამეცნიერო ლიტერატურას, პროექტებს, საკონფერენციო მასალებს. თარგმნიდა სახელის შექმნა, რადგან იმ წლებში სინათლის სხვა წყარო (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) არ გააჩნდა. იმ დროს დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგლისტიკის ფაკულტეტზე დღესაც ასწავლის ტექსტის ანალიზს და სტილისტურ ინტერპრეტაციას. თარგმანი კი ამ პროცესის აუცილებელი ნაწილია. ტექნიკური თვალსაზრისით, "ჩვეულებრივი" თარგმანი მხატვრულისგან დიდად არ განსხვავდება - ეს არის ჩვეულება, რომლებიც უნდა გამოიმუშაოს უცხო ენის სპეციალისტმა. დამატებით ენას, პირველ რიგში, ურთიერთობისთვის იყენებენ. თარგმანიც ამისთვის გეგმიურია.

ლელა ღუმბაძე: "ენის სრულყოფილად შესწავლა გულისხმობს მის მშობლიურ ენასთან შედარება-შეფარდებას, რაც ტექსტის ანალიზის საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო, როცა ლაპარაკია სრულიად განსხვავებული სტრუქტურის ენებზე: ინგლისურ, ანუ ანალოგიურზე, და ქართულზე, ანუ სინთეზურ ენაზე. ენებს შორის ლინგვისტური განსხვავების გულაზრდოდ უცხო ენის სწავლა, განსაკუთრებით ზრდასრულ ასაკში, ძნელი ექნება, ამიტომ თარგმანი უცხო ენის შესწავლის პროცესის აუცილებელი შედეგია. ასეა მხატვრული ტექსტის ანალიზის თუ ინტერპრეტაციის სწავლების დროსაც. ეს უკვე შედარებით მაღალი საფეხურია, როცა ენათმეცნიერების საფუძვლების ცოდნა უადვილებს სტუდენტს სწორი მიდგომა მოწახლის მხატვრული ტექსტის გასაანალიზებლად და გადმოსაცხრომებლად.

ზოგადოდ, ლიტერატურული ტექსტი ვერბალური და ზეგერბალური შრიტების ერთობლიობაა, რაც ნიშნავს, რომ ნაწერი ავტორის ინდივიდუალური, რთული და უნიკალური ესთეტიკური, ესთეტიკური, პოეტური თუ სხვა თავისებურებები ადეკვატურად აღიქვას და მშობლიური ენის შესაბამისი ესთეტიკური მოქცევის ანალოგიის, პირველ რიგში, საქმის სიყვარული და სპეციფიკური ნიჭი, უნარები და მოთმინება სჭირდება. გუმბაძე მნიშვნელოვანია. მთარგმნელს ისიც ძალიან ეხმარება".

იმ პერიოდში ტექსტებს ქართულიდან ინგლისურადაც თარგმნიდა. ამ თარგმანებიდან განსაკუთრებით უყვარს ნიგნი-ალბომი - "დიმიტრი ყიფიანი: ცხოვრება და მოღვაწეობა", რომელმაც მე-19 საუკუნის საქართველო სხვა თვალში დაანახა; ასევე, ქართველი მწერლების მიერ გაეროს ქალთა ორგანი-

ზაციის საგანგებო დაკვეთით დაწერილი ლაპარაკი და მოთხრობების კრებული - "იყო ერთი გოგო", ინგლისურენოვანი თარგმანი.

90-იანი წლებით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ, ქართულმა ბიოგრაფიულმა ცნებამ მაშაძე განდის "ჩემი თავგადასავალი, ანუ, როგორ ვეძიებდი ჭეშმარიტებას" თარგმნა მესთანაზა, რომელიც ნაკითხული ჰქონდა და სიამოვნებით დათანხმდა.

ამის შემდეგ იყო სელინჯერის "სიმორ: შესავალი" - "ლიტერატურის". მოხიზრება გლახების საკულტო ოჯახის ერთ-ერთი წევრის - უფროსი ძმის, სიმორის შესახებ, რომელმაც ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. ამ ტექსტებზე ვიკებზე, რას ფიქროს ავტორი პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ხელოვნის გარე მოსთან დამოკიდებულებაზე და ზოგადად, ხელოვნის ბედზე. იმ პერიოდში მწერალი ახალი გარდაცვლილი იყო და "დოქტორი" ქართულ ენაზე სელინჯერის ნაწარმოებების სრული კრებულს გამოცავს.

სელინჯერს მოჰყვა კიდევ ერთი დიდი ამერიკელი ნობელიანტი მწერლის, სოლ ბელოუს რომანი "ჰენდერსონი, ნეიმის მეფე", რომელიც "დოქტორი" სერია "ამერიკელების" ფარგლებში ითარგმნა. ამ მანამაც შედარებით უჩვეულოდ ჩაიარა. იმ წელს, როდესაც პირველი "საბა" აიღო, პრემიაზე მისი ორი თარგმანი იყო წარდგენილი: სოლ ბელოუ და ვირჯინია ვულფი. ვირჯინია გაიმარჯვა.

ჰენდერსონი, ნეიმის მეფე

ამერიკელი ნობელიანტის, სოლ ბელოუს შესახებ იცოდა, მაგრამ არ წაეკითხა. ბევრი დღესაც არ იცნობს. მის შესახებ მოაზრებები იყოფა: ზოგი ფიქრობს, რომ ნობელი დაუმსახურებლად მიანიჭეს; ზოგსაც, ფოლკენერის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ამერიკელად მიანიჭა. "ჰენდერსონი, ნეიმის მეფე" ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტია. ამბობენ, რომ თავად ავტორს საკუთარი რომანებიდან ყველაზე მეტად უყვარდა. საგულისხმოა, ამ ნიგნის ნაკითხვის შემდეგ ჰენრი მილერს უთქვამს - მე მხოლოდ ვიციკნებები, ასე მენერება. კურტ ვონეგუტი და ჯოზეფ ჰელერიც აღფრთოვანებულან.

ნიგნი შუახნის ამერიკელი მილონერის თავგადასავალზე მოგვითხრობს, რომელიც, ცივილიზაციის სიკეთებით თავგაბეზრებული, ახალი თავგადასავლების საძიებლად აფრიკაში მიემგზავრება. სინამდვილეში, თავგადასავლებს კი არა - საკუთარ თავს ეძებს. ადგილობრივი ტომის ბელადებთან ურთიერთობა ბევრ რამეზე დაავიწყებს. უპირველესად, არსებობის საზრისზე, მყოფობისა და ჩამოყალიბების მდგომარეობაზე და მიახედრება, რომ ადამიანად ყოფნის საიდუმლო ამ ორს შორის არჩევანში იმალება. ბელოუ არაჩვეულებრივად წერს აფრიკაზე, სადაც არასოდეს უმოგზაურია. ეს ნიგნი ლიტერატურული წარმოსახვის ძალას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

ლელა ღუმბაძე: "ძალიან რთული და საინტერესო იყო სოლ ბელოუს რომანიც მუშაობა. თუმცა, როგორც ყველა სერიოზულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან ურთიერთობა, ჩემთვის ესეც ერთი დიდი თავგადასავალი აღმოჩნდა, რომელიც ჰენდერსონთან,

საკუთარი თავისა და ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების მაძიებელ ადამიანს მოლონურიან ერთად გავიყვანო. თარგმანის თვალსაზრისით ბევრ სხვათაგანს წაუყვდი და ბევრიც ვისწავლე.

მიყვარს ეს რეჟისორი. სოლ ბელოუ შეხანიშნავი მოხრობელია. მთავარი გმირიც არაორდინარული პიროვნებაა და არაორდინარული თავგადასავლებითი ქვეყნა. თავგადასავლების კენ კი შინაგან ხმა უბნობს, არ ასვენებს. ეს ხმა საკუთარი თავის აღმოჩენისკენ უბიძგებს და შეგნებულად მიდის აფრიკის პირველყოფილი წესით მცხოვრები აბორიგენების სამყაროში. მრავალ საფრთხეს გადაურჩება და ისეთი დიდი შინაგანი ძალა აქვს, მისთვის სრულიად უცხო სამყაროს ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ „წვიმის მეფეზე“ აღიარებს, რაც უდიდესი პატივია. ეს რეჟისორი საკუთარი თავის ძიების და აღმოჩენის დაუოკებელი წყურვილით აღტკინებული ადამიანის ეგოპეია.

აქაც, ვუფლის „გზა შეუქურსიკენ“ მსგავსად, რომელსაც შეგვიძლია პოეზია პროზაში ვუწოდოთ, არაერთი პოეტური ეპიზოდია. ეს ის მონაკვეთებია, სადაც ავტორის ხმა თუ არ იგრძენი, ტექსტის არსს ვერ წაწვდები და მისი თარგმანა გაგიჭრდება. მაგალითად, ერთხან ამბობს, დავინახე ვარდისფერი... და აღწერს აფრიკის ზღაპრული განთიადის პეიზაჟს. როგორც პრუტთან - ჩაიმი ჩაღბობილი ორცხობილა „მადლიწის“ გემო უხილავი ძაღვით დაბრუნებს პერსონაჟს წარსულში, ჰენდერსონსაც დილის ცა მოკრებებში და ადრეულ ბავშვობაში გადაიყვანს. ისეთი საოცარი გადასვლებია დროში... მიყვარს ასეთი ტექსტები - რთული, საჩხრეკი და საძიებო. მით უფრო, თუ პოეტური ელემენტები ახლავს“.

თარგმნის ინსტრუმენტები

თახამედროვე ტექნოლოგიებმა თარგმნის დაქარბული ტემპი მოიტანა. ის, რასაც წლების წინ ხანგრძლივი კვლევა-ძიება სჭირდებოდა, „გუგლს“ ეპოქური საფრთხე გააძრწევდა. როცა თარგმანა დაიწყო, სულ სხვა რეალობა იყო - საჯარო ბიბლიოთეკაში „ჩასახლება“ მთარგმნელის შრომის აუცილებელ ნაწილად ითვლებოდა. დღეს ინტერნეტი ხელითი თითქმის ყველაზე აირი ინფორმაციაზე მიგვიწვდება. არადა, ადამიანები ურთულეს ტექსტებს ყოვლისმცოდნე მსოფლიო ქსელის გარეშე თარგმნიდნენ და ეს ყველაფერი ლამის ჯოჯოხეთურ შრომად უყვებოდნენ. სამაგიეროდ, მეტი იყო ინტერესი, კვლევების სურვილი, აღმოჩენით მოგვრილი სიამოვნება...

საბეჭდო მანქანაზე დიდხანს ოცნებობდა. ამასობაში კომპიუტერიც ნამოყვალა. მანამდე, სხვების მსგავსად, ხელნაწერი მბეჭდავებთან მიჰქონდა, მერე მათ შეცდომებს ასწორებდა და ვიდრე ტექსტს ბოლომდე მიყვანდა, გვარიანად წვალობდა. დღეს ეს საკითხიც ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა, თუმცა არსებობს თარგმნის „ინსტრუმენტები“, რომელიც არცერთი ტექნოლოგიის პირობებში არ შეიცვლება.

ლელა დუმბაძე: „ლექსიკონები ყოველთვის საჭიროა. ბევრი ლექსიკონი გვქონდა. განსაკუთრებით, ქართული ენის, რომლის ლექსიკონი არავლას ამოუწერავია. უამრავი სინონიმი და თარგმნისას ყველა არ გასჩენდება. ინგლისურიც ხომ გამომწერულად პოლისემიკურია - ბევრი ჩხრეკა გიწევს,

ბევრი ძიება. ხშირად უნდა გადაიკითხო ქართულში ლი ტრანსლაციონი „მოილონეო“ ლექსები. წარმოუდგენებლად შეგნებავს შენი, როგორც მთარგმნელის ეს გაღარბება“.

სიტყვების დიდხანს ეძებს და ფაქიზად ეყვრობა. საჭირო სიტყვა გონებაში ზოგჯერ თავისით ამოცდება ხოლმე. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. საუკეთესოს ძიებაში ერთხან და იმავე მონაკვეთს რამდენჯერმე უბრუნდება. ესმის თუ არა ამ დროის სიტყვების უდნადობა, ტექსტის მუსიკა? - რასაკვირველია. ამაში მუსიკალური სმენაც ეხმარება. განსაკუთრებით, პოეტური ჩანარების თარგმნისას. საერთოდაც, მიიჩნევს, რომ ლიტერატურაში მუსიკალური ყური მნიშვნელოვანია. მით უფრო, ისეთ ავტორებთან, როგორც ვირჯინია ვულფი. სხვათა შორის, კარგ თარგმანში ეს იგრძნობა. კარგი თარგმანი კარგ მუსიკალურ ნაწარმოებს ჰგავს, რომლის კითხვა სიამოვნებაა.

ვისი თარგმნაც სურდა

ვირჯინია ვულფი იყო მწერალი, ვისი თარგმნაც სურდა. მის ახალგაზრდობაში ინგლისურენოვანი ნივნების შოვნა ჭირდა და ვულფსაც კარგა ხანს ვერ მიაკვლია. ნაკითხვითანაც გაიფიქრა, რომ უნდა ეთარგმნა და ეს დროც დადგა.

ლელა დუმბაძე: „საშუალო კავშირში უცხოენოვანი გამოცემები ძალიან იზღუდებოდა, მით უფრო, ამ ტიპის ავტორების, ვისაც არაორდინარული აზროვნება და სისტემისთვის მთელს ცხოვრებას წესი ჰქონდა. მსგავსი წიგნები განსაკუთრებით რთულად საშუალები იყო, თუმცა დედაჩემის წყალობით რალაცემდე ხელი მიმიწვდებოდა. დედა ინგლისური ენის საუკეთესოტი განსლდა - ვრცელ ტაქტიკის სტუდენტო, დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის ერთ-ერთი პირველი გამოცემა. სხვათა შორის, ჩემი პროფესიული არწივანი ამანაც განაპირობა. მით უფრო, რომ დღეს ბიბლიოთეკაში არაერთი ინგლისურენოვანი წიგნი ინახებოდა და ვერ კიდევ სკოლის ასაკში მქონდა საშუალება რამდენიმე მათგანი ორიგინალში წაეკითხა, რაც იმ დროს იშვიათობა იყო...“

მერე დადგა დრო, როცა საფუძვლიანად წაიკითხა ვულფი: ვერ „საკუთარი თათბი“, შემდეგ - „გზა შეუქურსიკენ“, „ორლანდი“, „მისის დელოუი“, ბრწყინვალე მოკლე მოთხრობები და ესაუბრა... ის, რაც თავიდან ინტერესს ფემინისტური პოზიციისა და ცხოვრების განსხვავებული ნების გამო აღძრავდა, ნელ-ნელა უკანა პლანზე გადავიდა. მის წინაშე წარსდგა მწერალი, რომელსაც იარაღები არ სჭირდება.

ლელა დუმბაძე: „ჩემთვის ვირჯინია ვულფი დიდ მწერალია, ამასთან, ქალი, ამიტომ ფემინისტის იარაღი, ცოტა არ იყოს, მეზღუდებდა. ვრცელი ესე - „საკუთარი თათბი“, რომელიც მის ფემინისტურ მანიფესტად მოიხალოდა, კვლევას, რომელიც იმის ასახვად დაწერა, თუ რაბოტ იყენებ სტორიულად დიდი ხელოვნებით, განსაკუთრებით მწერლობით თუ პოეტობით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მამაკაცები. საკითხი მეცნიერულად იკვლია. ამიტომის საჭირო იყო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში მუშაობა. ნიშანდობლივია, რომ პირველივე ვერსიი წინააღმდეგობას წააწვდა: კემბრიჯის უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაში შესასვლელად გამზადებული გზა გადაუღებდა და თავაზიანად აცნობდა, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი მამაკაცის, ან მისი სარეკომენდაციო წერილის გარეშე ქალი ბიბლიოთეკაში არ დაიშვებოდა. რა თქმა უნდა, არსებობდა ქალთა კოლეჯები, მაგრამ მასშტაბების ბიბლიოთეკა გაცილებით მდიდარი იყო. საბოლოოდ, შეისწავლა წყაროები და დაასკვნა, რომ ქალს ყველა ეპოქაში და გარემოში ისეთ ვითარებაში უწევდა ცხოვრება, შემოქმედებაზე იცნება წარმოუდგენელი გზა-ლადით. ის კი არა, ინგლისში, 1880 წელამდე გათხოვილ ქალს საკუთარი შვიტის განკარგვის უფლებაც არ ჰქონდა (სხვათა შორის, მათ ქართველ ქალებზე გვიან მიიღეს არჩევნები მონაწილეობის უფლება), შესაბამისად, გასაქანი არც სხვა სფეროში ექნებოდა. კელვინზე დაყრდნობით, ვირჯინია ბლეკსტონის კურსი წაითხა და შემდეგ გამოაქვეყნა ქრელი ესე სახელწოდებით - "საკუთარი ოთახი". მოკლედ რომ მოვჭრათ, დასკვნა: თუ ქალს არა აქვს არჩევნის თავისუფლება, რისთვისაც საჭიროა 500-ოდე ფუნტი წლიური შემოსავალი და საკუთარი ოთახი, სადაც მარტო დარჩება საკუთარ ფიქრებთან, ევროსტონს ექვემდებარება ლიტერატურას.

რასაკვირველია, ვირჯინია იცავდა ქალის უფლებებს და ცდილობდა, მათი სახელოვნებო (და არა მხოლოდ) პროცესებში ჩართულობა გაეძლიერებინა, თუმცა მისი მიზანი მხოლოდ ეს არ ყოფილა. თავად მწერალს რაღაც ეტაპზე საკუთარი ოთახიც ჰქონდა და შემოსავალიც, მაგრამ სხვა პრობლემები აწუხებდა - ბავშვობაში განცდილმა ძალადობამ მის ფსიქიკაზე მძიმედ იმოქმედა. უცნაური სენი წივრდა: აღტაცებისა და ენერგიის მოზღვაების პერიოდს დეპრესია ცვლიდა. წლებთან ერთად ამ მდგომარეობასთან განკლავება სულ უფრო უჭირდა. ერთ-ერთი ბოლო მეტყვის დროს დაწერა ცნობილი წერილი, სადაც მიყენებული ტანჯვისთვის მეუღლეს პატივებს სთხოვდა...

მდინარეში თვითმკვლელობას წინ არანაკლები სტრესი უდრიდა: 1941 წელს ლონდონის დაბომბვისას დაინგრა სტამბა, რომელიც ვირჯინიას და მის მეუღლეს ეკუთვნოდათ. ბევრი რამ დაიკარგა, ბევრი ნაშრომი განადგურდა. მწერლის ფსიქიკამ ვეღარ გაუძლომდენ უბედურებას.

გზა შეუქრისკენ

"ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის" რედაქტორმა, მისმა მეგობარმა ანა ჭაბაშვილმა იცოდა, რომ ვირჯინია ვულფის თარგმნა უნდოდა და როგორც კი "სულაკაურებმა" "გზა შეუქრისკენ" თარგმნა გადაამყვანეს, მთარგმნელთან დააკავშირა.

1927 წელს გამოცემული ეს ნიგნი ვულფის ყველაზე საყვარელი ნაწარმოებია და მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილ ტექსტად ითვლება. "ცნობიერების ნაკადი" ტექნიკით დაწერილია რომანმა, რომელიც არ არის იოლი აღსაქმელი, მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებს თავის დროზეც არარეალური კითხვა გაუჩნდა. ბევრი მასში ავტობიოგრაფიულ დეტალებს ეძებდა, თუმცა მათი მიგნება რთული არასოდეს ყოფილა: ვირჯინია, რწმუნების მსგავსად, რეაქციულია ოჯახში გაიზარდა. მამამისი, ცნობილი პუბ-

ლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი ლესტერ გენი უილიამ თეკერეისთან მეგობრობდა (პირველ ცოლად მისი და ჰყავდა) და მათ ოჯახშიც მუდამ ინგლისის კეთილშობილი საზოგადოება ტრიალებდა; სახლს, სადაც ნიგნი მოქმედებდა ხდება, ყურე, გარემო - ყველაფერი მის ბავშვობაზე მეტყველებს, ავტორის ბიოგრაფია ბევრ დეტალში იკვეთება.

ნიგნის მეორე ნაწილი შემწვევარი მისი რეზიციონალი აღარაა. დედა ვირჯინიას 13 წლის გარდაცვალება. ეს იყო მისი პირველი მძიმე ტრავმა, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები და ბიპოლარული აშლილობა მოჰყვა; მწერალი ამ ყველაფერს დაუღალავი შრომით ებრძოდა და გარკვეულწილად, კედელზე გაუმკლავდა. ჩანაწერებში ამბობს, რომ ეს პროცესი მისთვის ერთგვარი ფსიქოთერაპია იყო: საკუთარი სულის ლაბირინთებს ჩაუღრმავდა და იქ აღებული განცდები ტექსტში გადაიტანა.

სიუჟეტურად ნაწარმოებში თითქმის ბევრი არაფერი დგება. მთავარი ამ შემთხვევაში, მწერლის თხოვნის სტილი და "ცნობიერების ნაკადი" წოდებული წერის ტექნიკაა, რომელიც რომანში განსაკუთრებული სიღრმით გამოვლინდა. ამას დაემატა პირველი ჩანაწერები, რომელთა სიმრავლის გამო "გზა შეუქრისკენ" მონათესავე, როგორც პროზა და მწერლობა ეზიდა. პირველ ნაწილში ეს ყველაფერი შედარებით მცირე დოზითაა, მაგრამ თარგმნისას, როდესაც რაღაც მომენტში საბუნდუნოდ "გაიჭიდა", მხედს, რომ პოეზიისა და პროზის ზღვარს მიაღწა, სადაც თარგმნის "ჩვეულებრივი" ტექნიკა აღარ ჭირდა.

ლელა დუმბაძე: "ვერ გეტყვით, როგორ ვთარგმნი ეს მონათესავე. მეტაფორებით, ალიტერაციებით გაჯერებული პოეტური ტექსტი განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა. პირველ რიგში, უნდა შენეებოდა ეს ყველაფერი, რომ მისი გადმოქართვება შესაძლებელია. მიყვავი თხრობას, გამიტყდა ტექსტს მუსიკამ, რიტმმა, ბატონებმა და ნელ-ნელა თარგმნის კონტრუქციები გამოიკვეთა. აღბათ ეს იყო ამ რომანში ჩემთვის ყველაზე საინტერესო, ფასეული და შთამბეჭდავი. მსგავსი ეპიზოდები სხვა ავტორებთანაც შემხვედრია, მაგრამ ასეთი ინტენსივობით - არასოდეს".

ტექსტზე მუშაობა 2014 წელს დაიწყო და ცხრათვის თავაუღლებელი შრომის შემდეგ დაასრულა. 2015 წელს "გზა შეუქრისკენ" "საუკეთესო თარგმანის მინაციაში" პრემია "საბას" გამარჯვებული გახდა.

ორლანდო

ესემი - "საკუთარი ოთახი", რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მწერალი ყურადღებას ერთ საინტერესო საკითხზე ამახვილებს: უნდა ჩანდეს თუ არა ქალის ნაწერში მისი ხედვა და ცხოვრებისეული გამოცდილება? ვულფის თქმით, საუკეთესო ტექსტის არაა, სადაც ავტორის სულის თვალში არ ტყდება, არ გაუფხვება. ამას ანდროგიონულ გონებას უწოდებს, რაც გულისხმობს ქალისა და კაცის ერთობას და არა მათი სქესის უფულებელყოფას. ანდროგინია ვულფის სხვა ესეებშიც ფიგურირებს. "ორლანდოშიც" ეს საკითხი გამოიკვეთა.

სქესთა ფსიქოლოგია რომანის ერთ-ერთი თემა. მწერალი მთავარ გმირს, ორლანდოს, რომელიც ჯი-



ტორიანულ ეპოქაში მამაკაცად იბადება, რომელი-
ღაც საუკუნეში ქალად გადააქცევენ, თუმცა მცხი-
რებას შეუნარჩუნებს. უაღესად საინტერესოა ის მი-
დგომა და დამოკიდებულება, რომლითაც ვირჯინია ამ
საოცარი პერსონაჟის განცდებს და სამყაროს გვიხა-
ტავს. ეს არ არის ანდროგინის პლატონისეული ხედ-
ვა - ოდესღაც ერთქესიან და შემდეგ ორად გაყო-
ფილ არსებებზე, მთელი ცხოვრება საკუთარ ნაწილს
რომ დაეძებენ და მხოლოდ ერთმანეთთან შეხვედრა
ანიჭებთ ბედნიერებას; უფრო ფსიქოლოგიური კლე-
ვის მცდელობაა, როდესაც პერსონაჟი სამყაროს ორი-
ვე სექსის თვალთ ხედავს, ამ ორ აღქმას ერთმანეთის
ადარებს და თავისთვის აკეთებს ბევრ მნიშვნელო-
ვან აღმოჩენას.

"ორლანდო" ვირჯინიას მეორე წიგნი იყო, რომ-
ლის თარგმანს ძალიან უნდოდა. ეს უცნაური, სხე-
ვისგან განსხვავებული რომანი "შუქურის" შემდეგ
დაიწერა. როგორც ჩანს, რთულ ფსიქოლოგიურ დრა-
მაზე მუშაობამ მწერალი იმდენად გამოიფიტა, გა-
დაწყვიტა, შედარებით "მსუბუქი" ტექსტი შეექმნა.
მეგობარი ქალის, ვიტა სეკვილ-უესტის (ვისაც ეს
წიგნი ეძღვნება) სავარაუდო სახალღეში გაემგზა-
რა და ერთ წელიწადში (1928 წ) რომანი-ფანტასმა-
გორია დაწერა, რომლის მთავარი გმირი, ახალშედე-
რებული ყმაწვილი - ორლანდო, ეპოქიდან ეპოქაში,
მამაკაცებიდან - ქალის სხულში ამოვსაურა.

წიგნში მოქმედება თითქმის ოთხი საუკუნის გან-
მავლობაში მიმდინარეობს და მთავარი გმირის ფსი-
ქო-ფიზიოლოგიურ გარდასახვასთან ერთად, ინგლი-
სის ისტორიის ქრონიკებად გვიყვება. ამ ყველა-
ფერს, წინა რომანისგან განსხვავებით, ოუმორის და
პაროდის მსუბუქი ელფერი დაჰკრავს. მიიჩნევენ,

რომ "ორლანდო" ვირჯინიას რომანებს შორის ყვე-
ლაზე იოლად იკითხება, თუმცა, როცა საქმე ფულ-
ფის რანგის მწერალთან გვაქვს, სიტყვა "იოლის"
მნიშვნელობა პირობითია.

ლელა დუმბაძე: "ორლანდო" საოცარი წიგნია.
აქ უამრავი განსხვავებული შრე იკვეთება. ერთი
მხრივ, შეგვიძლია თვლით მივაღწევით ოუმორისტუ-
ლად, ზოგჯერ სატირულ-ირონიულად აღწერილ ინ-
გლისის წარსულს. მეორე მხრივ, ვირჯინია ჭეშმა-
რიტი პოეტის პორტრეტსაც გვიხატავს. ორლანდო
ნამდვილი პოეტია, რომელიც სათუთად ეპყრობა სა-
კუთარ შემოქმედებას და უჭირს მისი სხვებისთვის
გაზიარება.

წიგნში უამრავი თემაა: ავტორი მსგელობს სა-
ზოგადოების, რელიგიის, პოლიტიკის, ფსიქოლოგი-
ის რაობასა და არსზე, ქალისა და კაცის ბედზე ამა თუ
იმ სოციალურ გარემოში, მათ მსგავსებასა და გან-
სხვავებაზე. ისე საინტერესოა გვაქვს სოუფეტს - ერ-
თდროულად გასართობი, სასაცილოც, და შენე-
ნების თვალსაზრისით, საინტერესოც. საოცრად აღ-
წერს ორლანდოს ქალად გარდასახვას - რას განიც-
დის, რა შეგრძნებები აქვს: საუკუნეებში გარდასუ-
ლი ორლანდო ხომ ჯერ მამაკაცია და შემდეგ, სალა-
თის ძილიდან გამოღვიძებული, მშვენიერ ქალად
მოგვევლინება. საინტერესოა, რომ მას ახსოვს, რას
წინავე იყო მამაკაცი და ოუმორით აკვირდება სო-
ციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მამაკაცი-
სა და ქალის აზროვნებას შორის განსხვავებას. უღვე
ფანტაზიას ავლენს - ისეთ სივრცეებში იჭრება და
ისეთი პასაჟებია, დღესაც მიკვირს, როგორ ვაუფ-
ქლავდი თარგმანს".

ვირჯინია ვულფის თარგმანს დიდი პასუხისმგებ-

ლობა. მთარგმნელს ნიჭთან ერთად მხარს უნდა უმაგრებდეს გამოცდილებაც. მას ნიჭიც ჰქონდა და გამოცდილებაც, თუმცა ბევრი რამ ტექსტში მძინვრით აღსაქმევი აღმოჩნდა, განსაკუთრებით, სტილისტური მომენტები: სხვადასხვა ეპოქას თავისი ყლურადობა ჰქონდა, რომელთა პოვნაში მთარგმნელის "კამერტონი" - შინაგანი ხმა ეხმარებოდა: მუდმივად უმოწმებდა ტექსტის რიტმს, მის მავსისცემას.

ზოგიერთი მონაკვეთი იმდენად ხატოვანი იყო, კინოკამერასაც გაუჭირდებოდა ადეკვატურად ასახვა. ფინალისკენ ერთ სცენაში მოქმედება მე-20 საუკუნეში ვითარდება. ქალად გარდასახული ორლანდო მანკიანთა მოდის ლონდონიდან. ავტორი აღწერს, რა ხდება მის გონებაში, რამდენწაირად ადამიანია და მის ყოველნაირ გარდაქმნაზე გვიყვება. ძალიან რთული იყო ამ ეპიზოდის თარგმნა, თუმცა სირთულეები თან ახლდა სიაბრუნებაც.

ლელა დუმბაძე: "ერთი სიაბრუნებაა მწერლის თვალთ დანახული ინგლისის ეპოქების გაცნობა - როგორ იცვლება ყველაფერი დროსთან ერთად და როგორ უწყობს ენა ფეხს ეპოქას. კიდევ ერთი საკულისხმო მომენტი უნდა აღინიშნოს: ვირჯინია სიტყვებს უფაქიზესად ეპყრობა. მისი ენა უზამსობისგან თავისუფალია, მიუხედავად იმისა, როგორ სცენებს აღწერს და რა თემებზე გვესაუბრება. სიტყვა მისთვის ყველაზე ძვირფასია, რაც კი შეიძლება არსებობდეს ამ ქვეყნად. საინტერესოა, რომ ვირჯინია კულფის ერთადერთი ხმოვანი ჩანაწერი მშვენიერი ენა სიტყვების მნიშვნელობაზე მისი უხედილობის გასაცნობად".

სწორედ მსგავსი დამოკიდებულებების აღქმა-შეგრძნობისა და "ორლანდოს" ბრწყინვალედ თარგმნისთვის მიიღო პრემია "საბა" მეორედაც.

ვინ უნდა შეაფასოს თარგმანი?

როცა შრომას გიჟვსებენ, სასიამოვნოა, თუმცა პრემიებს მისთვის სხვა დატვირთვა აქვს - მნიშვნელოვანი მექანიზმა ლიტერატურული პროცესების ასამოძრავებლად. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კერძო გამოცემლობების გახსნა იყო, რამაც ბიძგი მისცა სალიტერატურო სფეროს ამოუკედლებს, მათ შორის, მთარგმნელობითი საქმიანობის გამოცოცხლებასაც. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა: არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტი ითარგმნა და ბევრი კარგი მთარგმნელიც გამოჩნდა, თუმცა, კარგებთან ერთად ცუდებიც არსებობენ და აუცილებელია მათი გამოფხვნა.

ლელა დუმბაძე: "მთარგმნელზე ბევრი რამა დამოკიდებული - მას ნაწარმოების გადარჩენაც შეუძლია და განადგურებაც. ცუდი თარგმანი საუკეთესო ტექსტსაც კი არარაობად აქცევს, მაშინ, როცა არაფერი შედგებოდა კარგი თარგმანის კითხვით მიღებული სიაბრუნებას".

ვინ უნდა შეაფასოს თარგმანი? ამ კითხვაზე ყველას თავისი პასუხი აქვს. თარგმანის შეფასება რთულია საშუალო რიგითი მკითხველი მთლად სანდო ბარიმეტრად ვერ გამოადგება. მთარგმნელის ნაშრომების საუკეთესო შეფასებლად ისევ მთარგმნელს მიიჩ-

ნევს. წლების წინ საქართველოში არაერთი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, სადაც, რასაკვირველია, ამ თემაზეც ინერგებოდა. რამდენჯერმე შეიდა გამასაზრდელის შერიგები ნაიკითხა თანამედროვე თარგმანებზე და გაუკვირდა მისი ღრმად დაკვირვებული და კეთილშობილური დამოკიდებულება. კარგი იქნებოდა, მათ შრომას დღესაც მსგავსი საზომებით ავასებდნენ.

ორჯერ იყო ლიტერატურულ კონკურს "საბას" ფორის ნევი და იმ პერიოდში უამრავი რამ წაიკითხა. რასაკვირველია, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომელთაც ფორის ნევირისთვის წინებენ გადაწყვეტილების მიღებისას. ეს არ არის ვინმეს მიერ წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალი, უფრო შემფასებლის პირად გამოცდილებას ეყრდნობა.

ლელა დუმბაძე: "კითხვის პროცესში ჩანს, რამდენად შეუძლია მთარგმნელს გააცოცხლოს ტექსტი, იგრძნოს ავტორის ხმა, დაიცვას ორიგინალის დინამიკა. დედანზე "უკეთესად" თუ შეეცდება წერს, თაღლითობა გამოუვა. თუმცა, ეს ზუსტობით... კონკურსში განსაზღვრული თარგმანების შეფასებისას თანამართ ხარისხის თარგმნის შენთვისევაში უზარატესობა, რა თქმა, უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურულ ტექსტს ენიჭება. რამდენადაც გულდასაწყვეტი უნდა იყოს, კონკურსის თავისებურებაა, რომ ხშირად ლიტერული თარგმანი იზავრება".

ნებისმიერი კონკურსი, გარკვეულწილად, სუბიექტურია. უამრავი ფაქტორია, უამრავი გვიქნდება, რაც ბიძგიად რადიკალურად ცვლის გამარჯვების არსს. მრავალწლიანი მთარგმნელობითი გამოცდილების მიუხედავად, ხუთი წლის წინ მიიღო პირველი ლიტერატურული პრემია. დაფასება გაუხარდა, თუმცა ტექსტისა და ავტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ფაქტი მოულოდნელი არ ყოფილა. ფაქტობრივად, კონკურსის მისია უფრო პროცესების სახალისება და ახალი სახელების აღმოჩენა; ისიც, რომ უფრო მეტად დაფასდა მთარგმნელის პროფესია.

ლიტერატურული პროცესის კიდევ ერთი რგოლი მკითხველია, ვისთვისაც ეს ყველაფერი იქმნება. მომცრო, იოლად საკითხავ ნივთებთან საქმედარებით უკეთაა, მასშტაბურ ტექსტებს კი სხვა ტიპის, კარგად მომზადებული მკითხველი სჭირდება.

ლელა დუმბაძე: "ჩვენი დროში ძნელია, ადამიანს წიგნების კითხვა მოსთხოვო, მით უფრო, სკეპტიკიანის. თანამედროვე მკითხველი უფროთის სკეპტიკიანი წიგნი, აინებს გვერდების რაოდენობა. თუ ამ მომსა გადალახავ და საკითხავ მიჰყვება, უკეთეს ვერაფერი იხმა. სამწუხაროდ, ბევრს საამისო დროც არა აქვს. გასული საუკუნის 50-იან წლებში სელმ-ჯერმა თავის ერთ მოთხრობას დაახლოებით ასეთი ფრაზა წაუხმდებარ: იმ ფორამესა და გადარბევა-მორბენაში, რასაც ჩვენი ყოფა წარმოადგენს, თუ ადამიანი მოახერხებს და დრო და დრო თუნდაც ნაწყვეტებს გადაიკითხავს ჩემი ნაწარმოებებიდან, უზომოდ მაღალირი ვიქნები. ასეთ ეპოქაში ცხოვრობო - ფუფუნება გახდა კითხვა, მათ შორის, მთარგმნელობითიც. სამყაროვად, ისეთებიც ბევრი არიან, ისინი, ყველაფრის მიუხედავად, კითხულობს. სწორედ ესენი გადარჩენენ ლიტერატურას".

ნიკა ჯორჯანელი

ძალზე სევდიანი ლიტერატურა

ადრე თუ გვიან
ყველა გადის ამას უკლებლივ -
რელისტები,
ფანტასტები,
ნიჰილისტები,
მყეცინთავეები
თუ სერფერები,
მკერავნი თუ გიტარისტები.

მოუსწრებს ის დღე თითოეულს.
ის დღე, რომელიც
შგავს საყინულეს.
ის დღე, რომელიც
წინებს არა შგავს.

თითქოსდა სხვენში ჩამომხრჩვალ ადმოაჩინე.
დგახარ და ზედავ -
შენს დღეს თავი ჩამოუხრჩვია.
შენ ცოცხალი ხარ,
შენი დღე კი
ჩამომხრჩვალ კიდეა თოკზე
და არც წერილი
არ უგდია უკანასკნელი,
არც არაფერი აშავია
სიკვდილისწინა.

და ცხოვრების მთელი მშვენება
უჩინარდება
მოქნიული თავის კუდივით,
და ნაუარდობენ ობობები
აბლაბუდებში,
როგორც ღრუბლებში ფრინველები,
და თითქოს მინის ზედაპირზე სხვა დასაყრდენი,
გარდა ამავე ზედაპირის,
აღარ შემოგრჩა.



მუხლი გეჭრება,
ჩამოდიხარ სხვენიდან ძლივს-ძლივს,
და, ვინც კიბეზე შემოგხვდება, ვერ დაინახავს,
რომ გულზე დღე გაქვს, უსიცოცხლო,
ეს ნუთია ჩამოსხნილი მკერივი ყულუფიდან,
აბუტებული,
და საათს გკითხავს სხვათა შორის,
მაგრამ მაინც თითქოს იმიტომ,
რომ სწორედ ახლა,
როცა დაბლა ისე ჩადიხარ,
თითქოს საფლავში ჩადიოდე ძირგავარდნილში,
დრო დგება ძალზე
სევდიანი
ლიტერატურის,
სევდიანის ისე საშინლად,
რომ მწერლებიც კი ირიდებენ
სხვა შემთხვევაში.

მკვდრების ძილქუმზე უფრო ღრმად
მისი თვალები.
მისი მინამდვილე ჩამოშლილი და მინის ქერტის
გამწვრვრეტი თმები უკანასკნელ გზებზე გრძელდება.
ის ჯერ შენს მკვდარ დღეს ზურგზე იდებს,
და მერე,
როცა გაბრუნდება და ზურგს მოგიცევს
და ისე წავა, რომ ერთხელაც არ მოიხედავს,
აზრზე მოსვლასაც ვეღარ ასწრებს,
რომ ზურგითვე მოეზიდება
და მისი ძველი ფრიაბულით
უკან გიბრუნებს,
თითქოს სიკვდილი გადასწმინდა,
კეთილისმყოფი უკუღმართი დამკრძალავივით.

ადრე თუ გვიან
მოგენება ისეთი ღამე,
როცა ქუჩაში მომაცვდავი ძაღლის ყმული
აღმოჩნდებოდა ერთადერთი ზუსტი აღმწერი
შენი უღმერთოდ სრულყოფილი გულისტკივილის,
რომ არა ძალზე სევდიანი ლიტერატურა;
და ყრუ იქნება ეს გმული რაც უფრო მეტად
და განწირული და საბრალო,
მით უფრო ძნელი იქნებოდა იმის გარჩევა,
ღამეში ძაღლი თუ პირიქით -
რა რაში ყმუის.

და როცა უკვე შენ მოკვდები,
შენი დღეები და ღამენი,
რომ მოგვედომიან და ხელახლა გაგცოცხლებიან,
ლიტერატურას შევედრებენ, ძალზე სევდიანს,
ჭიან სივრცეში უობლესად გაკიდულები,
შენც რომ მათსავეთ გაგაცოცხლოს,
და ვერაფერს გააგონებენ,
რადგანაც მათი მემატრონის
ხმას ცნობდა მხოლოდ.

MMXX

როდესაც ყველა სახლებშია გამოკეტილი,
თითქოს სახლებშიც არავინაა.

და მაშინ გადის თავისსავე თავში სიწუმე,
როგორც ქალაქის გაუკაცრიელებულ ქუჩაში ირემი,
და არყოფილი ფერის რძესავეთ
ინყებს ბალიდან გადადენას სადარბაზოში,
სადარბაზოდან - ისევ ბაღში,
მერე - სხვა ბაღში, გვირაბებში და ასე შემდეგ,
ბეტონზე დასმულ ჩაბნელებულ თვითმფრინავებში.

ყური დაუგდეს: სადღაც იქ,
შავი ცეცხლივით მოშრილზე მის ფოთლეულში,
ჩინურ მთის კატასავით განაბული
ძალზე უძალესად გადამდები სენი
და წითელ წვეტებს ნესტრით ილოკავს,
თითქოს იმით თვითკმაყოფილი,



ჯერ არაფერზე რომ არ თქმულა
ერთდროულად ყველგან იმდენი, რამდენიც
მასზე, და რომ მის გამო შეერთებული
შტატების ლიდერის შემფოთებულ სახეზე
სოლარიუმით სარგებლობის კვალი გაფერმკრთალდა.

ნეტავ რას დაეღვე,
რანაირი თრობით დაეთვრები,
თუ დაგლევე ოთხმოცდათხუთმეტპროცენტიან ეთანოლს,
რომელშიც სახლის გასაღების ბოლო ჩაეანე,
ლიფტის ლილაკებს მიჭერილი? - ეს სიტყვები
ხომ შეიძლება დაედოს
კომენდანტის საათის დასრულების მაუწყებელი
ჩიტების ჭიკჭიკს და შექმნილი ნაწარმოები
ორი კვირის წინ დაღუპული კამერუნელი
საქსოფონისტის ხსოვნას მიეძღვნას.

დაინეროს ყველა მსხვერპლის პატივსაცემად
ყველა დროის საუკეთესო ლექსი მთვარეზე!
რომელიც მოჩანს ღრუბლებიდან,
როგორც ღამის საბრალო გული,
სამყაროსავით ფართო ინფარქტით
გადახლეჩილი.

დავრჩეთ მოვლენების კურსში,
სადაც გვინდა იქ დავრჩენილვართ,
ოღონდ შინ დავრჩეთ,
ო, შინ დავრჩეთ,
რადგანაც ჩვენი
გარეთ გასვლის შემდეგ მსოფლიო,
როგორიც იყო,
ისეთივე იქნება ზუსტად.

მესაფლავე

საცოლვე მეუბნება: შეეშვი წერას,
შეეშვი, ბოლო-ბოლო, მაგ სისულელეებს.
კაპიკი შემოსავალი არ გაქვს. ასე როგორ გამოგყვე.
ვფიქრობ, მესაფლავედ დადგე-
ვერც ეგ აგაშენებს, მაგრამ სულ არაფერს სჯობია.
მამაჩემის აშხანაგი სასაფლაოს გამგეა.
ეტყვის მამაჩემი.

რა მესაფლავედ დაედგე, რის მესაფლავედ დაედგე,
რაებს ამბობ-მეთქი, ელეუბები, რა ბუზმა გიკბინა,
ეგეთი რამე რანაირად მოგივიდა თავში.
ან ჩემმა ნაწერმა რა დაგიშავა-მეთქი ასეთი,
მე ხომ სულ შენზე ვწერ-მეთქი,
სულ შენზე.

ხოლო საცოლვე იძახის: რა შუაშია, რა დამიშავა!
შემოსავალი არ გაქვს, როგორ აპირებ მომიყვანო.
მერე არ მომწონს კიდევ, რა თქმა უნდა,
თანაც ძალიან არ მომწონს
ეგ შენი ეგრეთ წოდებული ნაწერი.
ან აი ვის მოსწონს? მითხარი, აბა, ვის?



დარწმუნებული ვარ, რედაქტორიც არ ნაიკითხავს.
მიუღ-მოუღები, სიკვდილიო, ესა, ისა.


ზოდა, ნადი, - მეუბნება მცირე დუმილის შემდეგ, -
და საქმით დაამტკიცე მაგ აკლდამების
და უბედურების სიყვარული.
ნადი მესაფლავედ. სხვა რა შეგიძლია.
აბრაამ ლინკოლნი თხრიდა თავის დროზე საფლავებს,
და შენ ვინ ხარ, რომ ითაკილო.

რინაირი საცოლე ხარ ჩემი, - ვეუბნები, - რინაირი,
ასეთ რამეებს რომ ლაპარაკობ.
რამ გაგიმწარა ასე ძალიან ენა?
ლინკოლნი რომ მესაფლავე იყო თავის დროზე,
ან ეგ რატომ იცი?

რა მესაფლავე დადგება ჩემგან. ზღაპარია.
მესაფლავედ რომ დაუმდგარიყავი,
საფლავების გათხრის მაგივრად
გამჭოლ ნაპრალეებს გაეჭრიდი,
შიგ ჩადებულეხს
მინა რომ ჩაფვრინათ ხოლმე
და ჩაცვენილიყენენ
იქითა მხრიდან
ცაში.

* * *

და გამქრალიყოს ყოველგვარი მწარე სიტყვა, ცქერა ამრეზით,
ნარცხილიყოს ხილულიდან ყველა ხარვეზი,
რომელიც ალღოს უხილავის ნვდომას უძნელებს.
მიდამოების თვალუწედენის
ხასხასა მწვანეს ოქროსფერი ბურუსი ადგეს.
დრო მალამოდ სცხებოდეს ადგილს,
და ჰორიზონტი, მყარზე მყარი, ღრმაზე უღრმესი,
თვალს კიდევ უფრო ატყვევებდეს, ვიდრე ატყვევებს;
ჩრდილს აბრუნებდეს ბავშვი უკან საფეხურებზე,
როგორც შეიძლო ესაია ნინასწარმეტყველს;
სულ ერთიანად დაჰკარგოდეთ ცოდვების ჩამდენი
უკეთურობის მონდომება; მწვანეში ჩანდნენ
ზღვასაგით ლურჯი და ქაღივით თეთრი სახლები.
რომ ვთქვათ სხვაგვარად, ნიუთონი, ხელმესახები
უმფოთველობა დამდგარიყოს ყველგან როდისმე
და დრო ისეთი, არასოდეს რომ აღარა თქვან,
ახალი ჭირი შემოდისო.
იმ ძველ ფირთაც და დაღალუვითაც
შენდობოდეთ და რგებოდეთ რამ საცხოვრისი
მოხუცთა სახლად. და ძველ ხეებს,
ვიდრე ყინვის უძლებდნენ დღეებს,
მხრებით ქარები ვიდრე ათრიონ,
მზე უხაროდეთ,
ჩემი საფლავის ქვასთან მდგომებს, და უქაროდაც
დამშრალივდნენ, უყვარდიო.



თერმოსკრინინგი

- მორჩა და გათავდა, - თქვა
ჟურნალის დირექტორმა. - ალარც ერთი
ნოუსი კოედიდან დაკავშირებით.
- Prada-მ რომ მაშაქაცებს
სანდლებზე წინდების ჩაცმისკენ მოუწოდა,
თემა, - უკარნახა საინფორმაციოს უფროსმა.
- მოიცა, ეგ როგორ? - დაიბნა
დირექტორი. - სანდლებზე წინდების?
- პო, აბა... ორი წლის წინანდელი
ნოუსი კია, მაგრამ არ მახსოვს,
ჩვენთან რომ დღემდე ვინმეს გაუფლერებინა.
გარეკანზეც შეგვიძლია სათაურის გატანა,
მაგალითად, ასეთის: ჩვენი ბაბუები
მოდას უსწრებდნენ, ანდა:
უსწრებდნენ ჩვენი ბაბუები მოდას, უსწრებდნენ.
- კარგია, - მოიწონა დირექტორმა, - პირველი
ვარიანტი კარგია. ოღონდ "ჩვენი"
ცოტა შეზღუდვებია, არ გვინდა
ეს "ჩვენი" და მერე ტექსტში ბებიებიც
აუცილებლად სახსენებელია სადმე,
რომ ბებიებიც უსწრებდნენ მოდას,
რახან ასეთი ბაბუები მოსწონდათ.

რა უბედური სიცხეა... - დაიძახა მან უცბად
და შუბლზე ხელისგული დაიდო. -
თუ შე მაქვს სიცხე? ისე,
ყოველი ფეხის გადადგმაზე
ტემპერატურას რომ გიზომავენ,
რა სწორი ტრენდია. სულ იცი,
გაქვს თუ არა.

ბელქვეითმა მისწრაფება გამოიჩინა
აფთიაქიდან თერმომეტრის მოსატანად.
სახლში გავიზომავო, გააჩერა დირექტორმა.



შუა ივლისის მცხუნვარება
იჭრება შენობების ფანჯრებში,
როგორც კაიუტების გამტვრეულ
კარებში ოკეანის წყალი,
და ისე გახრბობს,
ბოლომდე ფეხებს რომ არ ფშეკდე,
რომ იხრჩობოდე
და სულ ბოლო მომენტშია
შეძლო შესუნთქვა,
რომ იხსენებდე
ძველ შეცოდებებს,
რომელთაც მაშინ სწადიოდი,
როდესაც ასე არ ცხელოდა,
როდესაც მინიმუმ ასე არ ცხელოდა,
იმიტომ რომ,
როცა ასე ძალიან ცხელა,
რა უნდა სცოდო.

არა, შვილო, - ეუბნება
ბაზრის შესასვლელთან
იქაური ადმინისტრაციის თანამშრომელს
მაგებიანი მოხუცი ქალი, -
განა შემოვდივარ.

აი, შენ ის გაინტერესებს, -
განაგრძობს იგი სლუკუნით,
მაგრამ ხმა ძლივს აგებს მზით გახურებული
პირსაფარიდან, - შენ ის გაინტერესებს,
სიცხე მაქვს თუ არა,
და იმას რად არ მკითხავ, ხუთი პურის
და ორი თევზის კი არა, ერთი პურის და ერთი
თევზის საყიდელი თანხა მაინც თუ მაქვს,
იმას რად არ მკითხავ,
მაქვს თუ არა საერთოდ რამე,
რაც შეიძლება უფალმა გამიმრავლოს,
რამე მაინც, შვილო,
სიცხის არქონის გარდა.

შემოდგომა

სიშნარე ისეთივე ხმით გადადის გულის სარქველებზე,
როგორითაც ტაქსი სათვალთვალო ჭეხის თავსაბურღებზე
აგერ თუნდაც ჩემი ქუჩის მყუდროებაში,
ნაადრევ შემოდგომაზე,
მინა რომ ლოკოკინების დაჭყეილი ნიჟარების
ბიჟუტერიითაა შემკული,
ხოლო ქალებმა მკვეთრად უკლეს სარკის წინ დგომას
და ისეთნაირად რომ გრილა,
როგორც ნამიან მიხაკებთან
ბავშვის პანაშვიდზე.

როგორც ყარალი დანას,
შემოდგომა ხმელ ფოთოლს მამუგნს ყელზე,
და მაშინვე ხელში ეფშენება.

და ცხოვრება
ისევე გრძელდება.

და შემძლია მივიჩნიო,
რომ ის ყოველგვარ
აზრს და მიზანს მოკლებულია,
და უბრალოდ მისთვის ვიცხოვრო,
ცხოვრებისათვის,
ისეთისთვის,
როგორიც არის,
მაგრამ ეს ხომ იგივეა,
რაც ეხვეოდე ვინმეს მხოლოდ იმიტომ,
რომ მკლავები გაქვს,
ან შემოდგომა გაწუხებდეს
წვიმების გამო.



ნატო ინგოროყვა

გზა - მოგზაურის ანგელოზები

შეიძლება მოხდეს ასე -
გადიდოს ღრენა,
გაუქმდეს ყველა ჯავშანი.

ქალაქი,

რომელიც თითქმის დაიშორნილე,
ხალცი წინასწარ მონიშნე ყველაფერი,
რაც უნდა გენახა და შენებოდი,
დარჩა სურვილად,
რომელიც გაიზმორა და
შემოკედლებულ კატასავით
ფეხებთან შემოვიწნეა.

ეს არ იყო უდარდელი გდება,
როგორც სჩვევიათ კატებს,
როცა ფარულ სურვილებს ნიღბავენ.

* * *

ჩვენ უნდა გვეფრინა ღამით,
როცა ცა მინას ემსგავსება
და გარსკვლავები უძინართა ფანჯრებია.

უნდა გვეფრინა ღამით -

როცა სიზმრებს გვართმევს სიფხიზლე
და კიდევ ერთი თვალშია მგზავრობით
შეცხებულიყო ჩვენი ცხოვრების გზა - CurriculumVitae.

უნდა გვეფრინა ღამით -

გვეფიქრა იმ სიახლოვის დათმობაზე,
მინიდან 13 ათასი კილომეტრის სიმაღლეზე,
აფრენიდან დაფრენამდე
თანამგზავრებს შორის რომ ჩნდება.

უნდა გვეფრინა ღამით -

გვენახა აეროპორტში მომლოდინეთა ვენებით ხავსე
მოსაცდელი დარბაზები.
შიტოვებული ჩანთების გაურკვევლობა.
დაღლილი სადგურები,
რომლებიც ვერ გადაეწვივნენ
წინა მგზავრების სუნის შენახვას.

* * *

თვალთმაქცია ყველა ქალაქი -

თითქოს შენთვის ალებენ კარს.
არადა, მხოლოდ იმას გაჩვენებენ,
რასაც სახელი დაერქვა,
რისი დამახსოვრებაც შეგიძლია.

თვალთმაქცები არიან ქალაქები -

იცინან, როგორ დამალონ მთავარი,
გადანისხონ კედლის ბზარებში,
ხიდეხსა თუ საათებში

და

როცა ღამპიონი
მხოლოდ თავის თავს ანათებს,
როცა ქუჩები ცარიელდება,



ყოველი ახალი მოსახვევი
თავგადასახედისთვის გამზადებს.

* * *

ჩვენ ვნახავთ ქალაქს,
გაუჩინარებული ამბებით,
ღამით რომ გვეგონა, დასაბერად უკვე მზად იყო,
ღილით კი ვეღარ ვიხსენებთ.

დავსხდებით კაფეში,
ვიაპურებით ხვალისდელ დღეზე,
ჩამქრალ ვულკანს ჩაელიშება,

რადგან იცის -

ის წარსული დროის ქალაქია,
მინაში ჩატანილი ამბების ქალაქი,
წაუკითხავი წერილების ქალაქი,

სამუდამოდ ერთად დარჩენილთა სევდით.

BigLove

სტამბოლი, აეროპორტი, კაფე biglove".
შედიდება სიყვარულის მოცულობაზე.

ღმერთს უყვარს ბრონია.

ჩვენში მოფუსფუსე
უამრავი კითხვიდან
მაინცდამაინც იმ ერთს გამოარჩევს:

რა გააკეთე სიყვარულისთვის?

ხოლო დაქუცმაცებული ტკივილები
ფეხის წვერებზე აინევიან
და
თავმოწონედ ეტყვიან:

როგორც კი ერთი სიყვარული მთავრდება,
ახლის საბოვნელად ვეშურებით და
ასე ვიჯერებთ მის მარადიულობას.

შენთვის

დავიღალე, მითხრა მან.
რამდენჯერმე გაიმეორა
და მეტი დამაჯერებლობისთვის
დაურთო: ძალიან.

მონიტორზე ზედიზედ ხტებოდა
ერთი და იგივე სიტყვა:
დავიღალე. დავიღალე. დავიღალე.

რა გააკეთო შენთვის? - ვკითხე.

ალარ წაგაკითხებ ჩემს ლექსებს,
რომლებსაც ადრე თვითონ გიკითხავდი.
ალარ მოგიყვები ჩემს დადლილ დღეებსა და ღამეებზე

და

თუ ვინმეს არ ამინებს ზედნიერება,
გაუღიმი და უთხარი,

თუ

შობა შეგნა სიყვარული.
თვითონვე შეჭამს.



დავით აღმაშენებელი

უბრალო სიტყვებზე,
აღმაშენებლისათვის:

დავით აღმაშენებელი.

პატივით თვალსაზრისით:
შეუძლიათ, უკანავე ჩაიბრუნონ,
რაც დაინახეს?

ნუ დაიჯერებთ,
რომ დრო მკურნალია.

ტანსაცმელი ასე იშორებს ლაქებს -
რეცხვიდან რეცხვიმდე იცრიცება
თითქოს ქრება.

მეხსიერება უფრო ვერაფერია -
რასაც ივინყვებს, იმასაც ინახავს.

გაქცევა ვერ გიშვების
თუკი გზაც მდინარეა -
ჩრდილებისა და აზრდების.

დუმილიც მკვლელობა,
სიცოცხლის ხმები მოიქცეს
და
მარტოობაც მატყუარა,
თუკი ცდილობს დაგაფეროს,
რომ გადარჩა.

დრო. მინანერი.

დრო,
რომელიც აღარ გვეჩვენა ერთმანეთისთვის,
როცა ჩვენ ტანსაცმლის კარადა
სხეულისგან დაცლილ ტანსაცმელს
გამოირიდებს.

როცა ჩვენ შორის
სიტყვებისგან თავისუფალი სივრცე ჩადგება
და
თვალეში დახუჭავს
ქუთუთოს შიგნითა და ქუთუთოს გარეთა ამბებს.

როცა სიტყვა დაიბრალდება, რომ საშლელია
და ნაშლის ყველა ამბავს,
რომლებსაც ვეღარ ვყვებით.
როცა ღიმილი
ქუჩაში შემთხვევით შეხების უხერხულობას გადაფარავს.

როცა აღარ ეიდარდებთ,
რომ მონათხრობი არ ემთხვევა სინამდვილეს
და
ვაპატიებთ სიტყვებს უზუსტობას.

როცა აღიარებ, რომ შენს შუბლს და კეფას,
რომლებსაც არასდროს უნახავთ ერთმანეთი -
საერთო ამბავი აქვთ.
და კეფას სწორად უგერძნია ისიც,
რაც შუბლს გამოეპარა.

როცა დაიჯერებ, რომ
შენი წიგნის მერვე გვერდზე დაბეჭდილმა ლექსმა
არაფერი იცის მეცამეტე გვერდზე დაბეჭდილი შენივე ლექსის
და
შენც აღარ მოიხედავ უკან,
იქნები მშვიდი,
როგორც მზე ჩასვლისას,
რადგან იცის -
ისევე გათენდება.




ლია სტურუა

იქნები სადამდე?

ტკივილი რომ გათავდება
და შეგების მომენტი დადგება,
ძალიანაც ნუ გაივრდებ!
მოგუნატრა რძეში ჩამოხრილი
მარწყვის ჭრუსტელი,
ნელთბილი ყურადღება კი არა,
ისტერესის გავრცელებული მზე!
მაცრამ შენი ნაცნობი კაცები
რუსთაველზე ხეობით დგანან
(ასეთი შეღავათიანი რეინკარნაცია)
და აღურვოლი კენჭოვებიდან გაფრთხილებენ:
- ილუზიასთან თამაში
შეცარი რეალურებით თავდება,
რაც ვინდა ქვიშა საათები
ჩაიმტკირო თავში,
რძის ბოთლები მკერდში,
დრო კი დგას, მაგრამ
დაბუყებული ფეხებიდან ქიანჭვლები
გულთან აღარ აღიან,
როცა ვინმე მოგვწონება...
იქნები მანამდე, სანამ
შეგიძლია აუღლო ზნა:
მე მტკივა, მენ გტკივა, და თუ მას აღარ ტკივა,
ამ შენთხვედრაში არავითარი მტკაფორა!
გრამატოკა გაბატონდება

მუდმივი ექსპოზიცია

ასე დამხატვა -
ბუნდოვანი შინა ფერხევი,
ცა აშკარა, თოვლის ან წვიმის აქსესუარი
აღარ მჭირდება მის დასანახად,
რეისების რეალიზმი ხელშეხახებად.
ეს მე შემინია, რომელიმე სული
ზედმეტად არ გამოვქაჩა
და ათმეტრით გამოწვეული ნერვოზი
არ დამატყდეს თავზე,
მაგიწდება, რომ დახატული ვარ,
მინატყდება, კიდევ, რეფლექტორი
ჩამირთვა მუცელში
ელექტრომას თავისი კანონები აქვს,
დაუკითხავად ვერ მოუკედები...
და ჩემმა ხასიათმა
ამ გამათბობელთან მეთანხმებით
მოკლე ჩართვა რომ გამოგდოს?
მუზეუმის ქრესტომათიულ მუცელში
ნამდვილ ცეცხლს ვინ დაუშვებს
და ხანძრის დეკორაციას ააფხვებენ
იქ ვერმოხვედრილვით,
მე კედლიდან ჩამოვყვანენ,
ზნთის საღებავი მტკივნება
ამდენმა მისტიკამ, იქნები,
წვიმილი გასვლაც იგულისხმოს,
გველაზე სქელ მოხანამებში
აღუბლის ყვავილებია ჩაკეცება
და ისევე კედელზე დაბრუნება,
მანაც, კარგი მიატერის დახატული ვარ



როცა ისეთ ცას ხეები,
რომ ხელებზე
ლურჯი საღებავი გრჩება,

ამაში იმდენი ღმერთია,
სიტყვით ვერ ჩაერევი,
მარტო პიეტეტით, რომელიც
გაგლუნავს და პიმნოგრაფიაში ჩაგდებს,
სადაც ყველაფერი ამენებულია:
ქარი - ხეების ხერხემალი,
ღმერთი - მინანქრის სახეღარზე,
ლექი - ურითო პარამონიაზე...
ეს - ჩემი ურითობა აბუჟებს კბილებს,
ყურის ნიჟარებს, სადაც გააცლის
და ორკესტრის ორმოვად აქცევს...
დანარჩენი ლურჯი რაღას მოვანხარო?
ინტიმურ ლირიკას?
არიან ბედის ნებეგრები,
ამ საღებავს პირზე ისვამენ
და სიტყვებს უყვართ
ჩემისთანებს ქარსა და წვიმაში
უფრო უმართლებს.
როცა ღმერთი სევედიანია...

* * *

სანამ ცხოვრება თავგადასავალია
და არა ავტობიოგრაფია,
ქალაქის გემოთი პირში,
სანამ გყავს კაცი, რომლის მხრებიდან
გეზრდება ხელები (იხ. ტექსტი ჩემი
მცენარეული ნარმოშობის შესახებ)
თუ არ მიჯერებენ, გაყვირებ ამ ტექსტს,
თორემ, აბა, საიდან ლექი?
აქეთ-იქით უმითეტები,
შუაში, კუხივით, მეტაფორა
რა თავგადასავლებს ინახავს?
პადავრით დათრგუნულს,
თუ შეგ ზამეტრით წაქეზებულს?
დავინწყებული სამშობლო
მოსალოდნელზე ვინროა, ჩემი ხე მოჭრეს,
საიდანაც აყვავებული ხელები ამომდიოდა,
კი, გარშემო გონიერი კონსტრუქციები,
სიყვარულის ინსტრუმენტები, მაგრამ
არაფერი ისეთი, ქონგურებიან გვერდებში
რომ ჩავეზარდო და არ იყოს ზღვარი,
არც წერტილი!
მსგავსი პორტრეტები აღარ იხატება!
უფრო ჯგუფური ფოტოები ინტერიერში
ამ სქემაში ვერ ეწერები?
ნადი, სადმე გზისპირას აყვავდი,
რომელიმე ხე დაგამტვერიანებს
ყოველგვარი ემოციის გარეშე,
შეიძლება, რაღაც შეუსხედავი
ბუნჩიც კი გააჩინო,
მაგრამ არც ერთი კაცის მხრებიდან
აყვავებული ხელები აღარ ამოგვყავს.



სამამულო და სხვა ომები

სამაქრე მიტყდება და გაჭრილი თითებიდან
ფაიფურის ფრჩხილები ამომდის -
პატარა შიდა ომებისთვის,
კალიგრაფის ხელნაწილში შეტანილებისთვის
ოჯახურ ანალებში
კიდევ, სისხლი და ყურძენი თანაბრად,
შიგადაშიგ, ასიმეტრიი -
ამ ქვეყანას ტაძრის პრინციპით
ამენებდნენ...
მე რომ ფაიფურის ომები წავაგო,
გენეტიკა ისეთ სამამულოს ამოიჭედებს,
სადაც მინის თითო სანტიმეტრი

თითო ბავშვიმ
საბავშვო ბაღები და საჯარო სკოლები
ვერცხლის ხერხემალით არიან,
როგორც მთვარე და რძე
ამასაც შეჭამს და
სამართლიანი ომის სტატუსა მიიღებს.
ობიექტურ სიმართლეს, ზოგჯერ,
თიხი კედლის ხასიათი აქვს:
სულ ცდილობს, სატყეული არ ჩამადგინოს,
მაგ. საშაქრებიც ვამტყრო
და სიტკბოზე ბავშვები მოვიდნენ,
პარმონიში ივარჯიშონ,
მაღალ დო-ს მიწვდნენ!
უკედლობაც ტაძრის პრინციპით
შენდება...


* * *

მივდივარ. ბნელა აქაც და იქაც,
მაგრამ იქ დამხედებიან: თუნდაც, ის,
კბილები რომ ჩაუმტყრიეს
და ოქროსი წაისვა. როგორ ანათებს!
იშასაც, ატოტოუაშა კედელზე რომ
მიასრისა, ნითელი გეოგრაფიები
უვარდება მუცლიდან, ქმარი ყოყმანობს,
ცაში ოჯახი არ გამოდის,
ყველა მართო ზის,
ყველა თავის ფროიდს კითხულობს...
აბა რა ვუყო ამ გამაყრუებელ ნითელს?
დედაჩემს ხმაში შუშის სოტები უჩნდება,
მაგრამ ეს ხომ ყვავილი არაა,
ფოტოაპარატს დაუმიზნებ
და ობიექტივიდან
ვან გოგა გამოფრინდება
პოეზია ასეთი ჩიტებიც იცის!
მერე თავშეკავებული სამოთხე?
გოგის პალიტრასავით ცრელი ჯოჯოხეთი?
მიკერძოებული მკითხველი
სუფთა მუბლებით მიტყვა, ტაბულა რაზედით".
რა დავანერო ზედ?
რომ ტყუილი სამშობლოა?
დამიჯერებენ?

სიცხე

პირველ ჩავემხეთ ივლისში
სიცხე 2020!

ეგავართ ერთმანეთს: ორი ხელი,
ორი ფეხი, ანთროპოლოგიური ტიპი
საერთო, ოღონდ, იმას
სხვა ნახატი აქვს მუბლზე,
ძვირადღირებული ფლომასტერებით,
მე - მუქი გრაფიკა
იძულებით დავარცხნილი წერფების.
შავ-თეთრ ზაფხულს ვინ დაისახავს?
წითელი ფლომასტერი თუ არ მათხოვეს,
ან სისხლი არ გამოვიდინე
(პემოგლობინი, მაინც, მაღალი მაქვს)
და ეს გამონეგვა თვალწინ არ ეუფრიალე
დალაგებულ ადამიანებს. გამოვიდნენ არენაზე!
მათ თავისი კანონები აქვთ - კონსტიტუციური,
მე - ვერსიფიკაციული, ბოლო მუსიკა -
შავი ონკოლოგიური თავებიდან
მარწყვის ბუჩქების ამოყვანა,
რამდენიმე წერიული ლექსი,
მაგრამ ჩემს ანტაგონისტა
უკვე სერიოზული რუკა ახატია მუბლზე,
მე - ბეზოღობით მოპირკეთებული სამშობლო.



ირმა შიოლაშვილი

შემოდგომის მდინარე

ნელსაც შევალ ამ ცივ წყალში.
შემოდგომის წყალში.
შევალ და ზაფხულის ცხელ ამბებს მოეუყევბი,
მომლოდინე მკლავებით შევალ და შემციფნულით გამოვალ.
რადგან კიდევ ერთხელ დავინახავ, რომ
არაფერი შეუძლია შემოდგომის მდინარეს -
ცივად მოსმენის და ცივად გამოცილების გარდა.
არაფერი შეუძლია, გარდა იმისა რომ
გულიდან ჩამოგხსნას და
ტალღებს შეურიოს შენი ამბები.
ისე, სხვათაშორის შეურიოს.

ახლაც ასე იზამს. რაში ვანაღვლე.
ახლაც ცივად გადამივლის ტერფებზე და
იმასაც კი ვერ შეამჩნევს რომ
თვალები სავსე მაქვს მდინარეებით,
მუცელი სავსე მაქვს მდინარეებით,
მოგონებებიც სავსე მაქვს მდინარეებით
და ეს მდინარეები მიმარბენიბენ მისკენ!

ნესით თითონ უნდა შემოვიდეს ჩემში
სხეულით მის დაუბადებელ შვილებს ვატარებ,
ჩემში გამომწყდებულ ღამის ნამლეკონ,
ღამის დამაგლიჯონ ძარღვები და კაპილარები.
ნესით თვითონ უნდა შემოვიდეს ჩემში და
ამ ზაფხულგამოვლილ მდინარეებს მოესმინოს.
ესენი ზეპირად მსწავლობენ და
ჩემს ამბებსაც ლექსებით მოუყვებიან.
მოუყვებიან რომ მეც, როგორც ყველას
ნელსაც მზიანი ზაფხული მქონდა,
მეც ზუსტად იქ მიღალატეს,
სადაც წუთით თვალს მოვატყუე,
ზუსტად იმან მიღალატა,
ვინც გულზე ვერცხლისაფერი სიმებით მივიბი,
ზუსტად იქ ნავიქეცი,
სადაც გზა საგანგებოდ მოვასწორე და
იქ წამოვდექი,
სადაც ყველაზე ღრმა იყო უფსკრული!
არადა, რამდენის ილბალია ასეთი,
თანაც ზაფხულის მზეების შემდეგ,
როცა ცხოვრება ტანში თბილ ამბებს გვისახლებს და
ბერე, შემოდგომის ამინდებში
ცივი დედამდინარისკენ მიგვარბენიბს
რომ ჩვენი აბობოქრებული ამბები
მის ჩქეფებში ჩაეარვოს,
გამოგვაშვებინოს სხეულიდან
თევზებით ნატარები მდინარე-ამბები და
ასე შეგვახსენოს რომ შემოდგომის ტალღები
ჩვენი მარადიული განაჩენია.



ჰაერი

ეს ფანჯარა დიდი ხნის წინ დაიხურა.
მას შემდეგ, რაც ზღაპრების მოყოლა დაეხსრულე და
რეალურ ამბებში შევაბიჯე.

მას შემდეგ, რაც შვილები გაიზარდნენ და
საკუთარი ცხოვრება დაიწყეს, -
საკუთარი წიგნები აღმოაჩინეს
და საკუთარი ფილმები,
ხოლო დედის ზღაპრები
გულის კუნჭულში დამარხეს და გადაივიწყეს.

გსხედვართ ყველა ერთ ოთახში
და ვამჩნევთ რომ პაერი დამძიმდა,
ერთდროულად ირევა ერთმანეთში
კეთილი ტყუილები და მკაცრი სიმათლეს.
გსხედვართ ყველა ერთ ოთახში
და ვამჩნევთ, როგორ დამძიმდა პაერი,
როგორ დამძიმდა ეს ნაცხოვრები პაერი და
როგორ შეგვცვლიდა ყველას ფანჯრის გამოღება,
ფანჯრის ერთადერთხელ გამოღება და
გადახედვა იმ დედამიწისკენ,
რომელსაც წარსულის გემო აქვს,
რომელიც ელოდება ფანჯრიდან გაშვებულ
სუფთა ქალაქის მტრედებს
და სჯერა რომ თუ შევიყვარებთ,
პაერთან ერთად ზღაპრის გემოც დაგვიბრუნდება.

ირონია

არადა ისეთი უშნოა
ეს ცხვრებით დასახლებული სამოთხე,
ალარ ვიცი, რა მოუხერხო ჩემს მხედველობას.
დადიან ცხვრები,
სირუმის და სუნს ერთმანეთში ურევენ
და ხანდახან ერთმანეთიც ერთმანეთში ერევათ.
მე კი რა ვქნა, როცა გაზრდილი შემოვედი ამ ფარაში,
ელაპარაკობ, მაგრამ ვის რას გავაგებინებ.
გამარჯობათ, ცხვრებო,
არც კი იცით, რომ შესაძლებელია გაცუროთ მდინარე
და ყველა ქუჩა მდინარეს გაატანოთ,
და ყველა სირცხვილი მდინარეს გაატანოთ,
და ყველა უსიტყვო მდინარეს გაატანოთ,
ისეთი მიმტეველებია მდინარე!
გამარჯობათ ცხვრებო,
სანამ თქვენ ძოვდით,
მე ვისწავლე დუმილის დამარცხება,
მე ვისწავლე შიშის დამარცხება,
მე ვისწავლე სიამის დამარცხება
და ახლა, როცა გარედან გიყურებთ,
როცა ფარაში მდგომი მაინც გარედან გიყურებთ
შეგიძლიათ ბალახივით ღეჭოთ ჩემი ირონია.

ზღვა

აი ჩემი სიყვარული,
სამშობლოდ დაბადებული სიყვარული,
წინაპრის ძელებით შემოღობილი სიყვარული,
წინაპრის ლეგენდებით ნაკვები სიყვარული,
მუხის ფოთლებით ავსებული სიყვარული



ბუხის ფოთლებივით მოშრიალე სიყვარული,
ორ დიდ მუჭაში ჩაგტყე და ტალღებს მივანდე.

აი, გულიდან გამოვდეენე ყველა მდინარე,
აი, ბაგიდან გამოვდეენე ყველა მდინარე,
აი, ხსოვნიდან გამოვდეენე ყველა მდინარე
და ზღვისაკენ ვუკარი პირი!

ზღვა იქცა ჩემი მოთმინების უხმო მსაჯულად
და დიდ მეგობრად, მენდობა და გულაბდე მიშვებს,
მეც, ასე სადა, ცარიელი და გარუჯული
ვკოცნი მის კაბას და ტუჩებზე მეტრობა ქვიშა,

და ვნებები მისი გულის ფსკერზე, და ვეძებ ჩემი
სამშობლოს საზღვრებს და ვიბრუნებ წართმეულ შინას
ხიუარის სუნთქვად, ხავსის სუნთქვად, და ასე თხენით
ტერფამდე მტკიცეა ძველი ტანი და ძელები შენვის.

აი ჩემი სიყვარული.
აი ჩემი მოთმინება.
ზღვას ქვიშად პქონდეს.

ნასვლა სამოგზაუროდ

ალბათ წავალ გაზაფხულზე სამოგზაუროდ.
იქნება წვიმიანი დილა,
როგორც იცის ხოლმე გაზაფხულმა -
წვიმით დაინყებს და
მზით და ვარსკვლავებით გააგრძელებს.
ამოვალაგებ წარსულს ჩანთიდან,
(აღგიღს გაგანთავისუფლებ ახალი ამბებისთვის),
მაჯაზე დავიხვევ ყოველ მოგონებას,
რაც კი უცხო ქვეყნებთან მაკავშირებს -
ყოველი ქუჩის და
ყოველი სანაპიროს სურნელს,
ყოველ სასიყვარულო ისტორიას,
ყოველ ღალატით დამთავრებულ მეგობრობას,
ყოველ შუთს, რომელშიც სუვენირები შევიძინე,
ან მოსაკითხი ბარათები მეგობრებისთვის,
მაჯაზე დავიხვევ და
უხილავი საათივით გაუფრთხილდები,
ინიკნიკოს. არ მოვისხნი. თან წავიყოლებ.
ჩავალაგებ ჩანთას ბელაბლა:
ჩავდეტ ცხოვრების გამოცდილებას,
ცვალებადი ამინდების შეგუების უნარს,
ცოტა ალტაცებას, ცოტა გულგრილობას,
ცოტა ცნობისმოყვარეობას,
ღია გულის და გაფართოებულ თვალებს, -
მოკლედ რომ ვთქვა, სიცოცხლის სიყვარულს!
და სანამ ჩანთას შევკრავ
თმაზე საგარცხელს გადავისვამ,
წვიმიან ამინდს გავხედავ და ვიტყვი:
- რა კარგია, რომ ასე გგავარ გაზაფხულ -
წვიმით ვინყებ და
ცნობისმოყვარე ვარსკვლავებით ვამთავრებ.



ნინი ელიაშვილი

ვინც ჩემში ცხოვრობს

*

თუ ვერცერთ ყულფში ვერ გაჰყავი თავი, ძმაკაცო,
თუკი ვერაფრით შეაგროვე იმ თოკის ფული,
ნამო, ნაყიდეთ და ბოსტანში, როგორც სატაცურს,
როგორც ოხრაბუშს, როგორც ნიორს, როგორც მათ ხნულებს,
ვიჩვენებ ჩემ გულს, რომ მათსავით, სულთა მაქვს გული.
მე შემიძლია, სიმყარაღში ხელი დაგტაცო,
თუკი დათრგუნავ თავის ყულფში გაყოფის სურვილს.
ნამო, ნაყიდეთ. იცი, რაა ამ დროს კაკლები!
იცი, რარიგად ნაზდებიან ამ დროს ნუშები!
ჩვენ ხომ არა ვართ არავისზე რაშით ნაკლები
და ამ ყველაფერს საკუთარ თავს რატომ ვუშვრებით?!
ნამო რა, ნამო, აქ თავისით დაალაგებენ
საქმეებს ვინმე მინისტრები ანდა მუშები.
ნამო, ცოტახნით მოვიშორეთ გულზე ლაქები.

*

ჩემ წინ რომ დიდი კედელია და გვერდით ცაცხვი,
ყოველ დილას რომ მალეძებენ შავი მტრედები,
მე, თითქოს ძალით მაყენებს და ტანსაცმელს მაცმებს,
ვიღაცა, ვისაც რატომღაც კვლავ ვეიმედები.
შენ კარვად მიცნობ, ჩემში ცხოვრობს კარლია კაცი,
თავისი დიდი საქმეებით, სენტიმენტებით.
ის მთელ სამყაროს ნათესავის საფლავზე გაცვლის.
მაყენებს, მეგრე მომიღულებს მზრუნველად ყავას
და სიგარეტზეც მომიკიდებს, ლეპტოპსაც გაშლის
და როცა ისიც მიმატოვებს და ისე წავა,
დაავიწყდება ჩემთვის გათლა და დაჭრა ვაშლის...
ჯერ კი ადრეა, ჯერ ადრეა, ჯერ მუქში ვყავარ,
ჯერ მხოლოდ ეჭვით ვიმზირები მინიდან ცაში.
ეს მხოლოდ მანამ, სანამ წავა, სანამ ის წავა...

*

ჩვენ კარვად ვიცით, თუ როგორი ნაბიჭვრები ვართ.
როგორ მოვტაცეთ ლამაზ ქალებს ლურჯი ზღაპრები.
ეს ყველაფერი კარვად ვიცი, ვიცი ზეიწირად
და ის მაიკრეებს, რომ ყველაფერი და რომ არ ვლპები.
თავს კი არ ვიკლავთ, ყოველ ღამე თავს ვაღებინებთ -
სხვები კი, სხვები რა მარტივად გვიაფებენ
და ჩვენ კი ვუსმენთ, სხვა გზა რა გვაქვს, ვუსმენთ დებილებს.
ხანდახან ისე გამკაცრდება ხოლმე ცხოვრება,
გინდა, ნახვიდე ვინმეს მონად, ვინმეს მსახურად.
(გადახვევა - მისი ხმა სულ შემახსოვრება.
მისი თვალები ცად მახურავს. ცუბად მახურავს)
რატომ ვიქცევი სიყვარულში ნამდვილ ღორებად.
ეს პოეტები, ეს ღმერთები რამ გაგვალორა.
რა მოეუხერხო ამ შეტევებს, ამ გაორებას.

*

ნამოდი, ნამო! თითებიც თუ ვეღარ მოვხარეთ
და ველარაგის მოვეფერეთ, რაღა აზრი აქვს.
ჩვენი ცხოვრება კი არაა ჩვენი დომხალი
მაინც რა თესლად ლამაზია, რა ლამაზია.



მე კი არ ვიშვი, ციდან მოვწყდი, თუ გადმოიმდევრეს
და რჩეულობა, მეგობარო, დასწრებაზეა.
რამდენს შრომობენ. რამდენს კლავენ. რამდენს ოხრავენ.
მე კი სხვაგან ვარ. კარგად იცი, ახლა როგორ ვარ,
როგორც ყველას ვეზიზღები და თან ეუნდივარ.
(გადახვევა - მენატრება ერთი გოგონა.
და მისი ზურგის კანი მახსოვს ჩემი ხუთივე
თითით) ჯერ გრილა, თუმცა სარკმლისკენ მზე მოგორავს.
ჯანდაბას, ისე კარგად ვარ, სულ დავუხუთივარ.
საჭირო იყო ამ ყველაფრის, ნეტავ, მოყოლა?!

სად იყო შენი წერილი კისერი
როცა მტრედები აფრინდნენ გვერდზე
ეს არაფერი ახლა ისე ვარ
თითქოს გიპოვე და აღარ გეძებ
ჩემკენ მომართეს ყველა გამზირი
ყველა სკვერი და ყველა სადგური
და ყველაფერი რა ლამაზია
სანამ მოგკლავს და გაგანადგურებს

სად იყო შენი თხელი მუცელი
როცა მტრედები გვერდზე აფრინდნენ
ეს არაფერი ახლა უცრემლოდ
მიდის ცხოვრება და არაფრიდან

ვიზრდებით მეც და ჩემი იმედიც
ჩემი ნატვრაც და ჩემი ვარდებიც
და მეგობარი ისე მიმეტებს
ახლა გიჟივით ავხარხარდები

მუსიკოსმა და მისმა პანგებმა
ამიყლია და იქნებ გესმის
რადგან შენც ახლა სადღაც აქვე ხარ
ვიღაც ქუჩაში გითითხნის ლექსებს

მე ახლა ვირჩევ დუმილს და გიძღვნი
ჩემში არავინ დღეს ხმას არ იღებს
რამხელა ხმა აქვთ რამხელა სიგრძე
შენი მოსვლის და წასვლის თარიღებს

მხიარულად ვარ შენ ხომ მიბრძანე
ანი სიცოცხლეს რა შემაზიზღებს
და ერთი კოცნა გამომიგზავნე
ვაქა ფშაველას წყეულ გამოხიზნე

შესვენება

ელენე

ვინ მოკვდებოდა ვინ იზამდა უფრო უარესს
რომ ჩვენს ბავშვობას დაუნდობლად გადაუარეს
ვინ მოკვდებოდა ასე როგორ გვიღალატებდა
შენ ხომ იცი რომ პირველად მუდამ ვინერ ხატებთან
ღმერთის არ შესმის იბუტუროს სადმე თუ არის
ახლა თუ ვინმე სანამალავსა და მიმატებდა
წყალზე შენ გამო გეფიცები უმაღ უარით
გავისტუმრებდი ასე სუსტმა ასე მზატემ და
უნებისყოფი იასამნის ხეებს ვუარე
გარშემო თუმცა არაფერი არ შეიცვალა



შენ ხომ იცი რომ მაინც ის ეარ ბოლოს ვინც არ ვარ
შენ ხომ იცი რომ მატყუარა ჩემმა ხელემა
ბევრი იბრძოლეს სიმაღლისთვის აჩის გვიცავარ
ალარაფერი ეშველება არ ეშველება
ქვის საფლავს რა ექნათ ვერ გაიგო ჩვენი მინამაც
უნდა დაგინყოთ ამ მინისგან სახლის შენება
და შეეძვრეთ როგორც უფლისციხის გვითელმა კლდემაც
ვიცოცხლოთ მაგრამ ყველა კვდება და კი არ კვდება
გვიმეტებს შენთვის დღეს მინდოდა ამის ჩვენება
და შემაშინა ჩემს ცივ ხმაში ნასროლმა ქვებმა
ამდენმა რომ ვთქვათ უსამართლო გადარჩენებმა
მასწავლეს რომ გვაქვს თან არა გვაქვს არაურის ნება
რატომ გნერ ალბათ გაგიჩნდება კითხვა ამაზე
მაგრამ შენ ისე ლამაზი ხარ ისე ლამაზი
უფლება არ მაქვს მამის საფლავს როგორც საკუთარს
არ მოგეფერო ე რამდენი დილა გავგზავნე
რამდენ კედელთან წავიქციე რამდენ აგურთან
ვიდექი მშვიდად და მიორთვი ღმერთმა აკურთხა
ჩემი სადილი ახლა ვზივარ თეთრ ფანჯარაზე
გვიქრობ რამდენად შეშლილი ვარ და თან რამდენად
დალაგებული ამ არეულ სამყაროს გარეთ
დიდებას ვიცოცხლებ და უბრალოდ თვალი მადევნე
შენ არ მოგივა წერილი რომ ნინია მკედარი
და არ ჩაივცამ არ დაიჭერ ხელში მიხაკებს
და ამ წერილსაც არ მოგწერდი რომ არ მიყვარდე

დამარხული გული

*

საით წამიგვანს ეს ეაგონი რა სადგურია
ამის შემდეგ დრო აღარ რჩება უნდა მივუსწრო
შინდევ სადგურზე დამარხული ჩემი გულია
უნდა მივუსწრო სანამ ფეთქავს სანამ უვლიან
არავინ უნდა შემამჩნიოს გამოვიძღუნო
კარიდან ჩუმად და ვიპოვნო ბინძურ სადგურში
გული და გულმა უნდა მითხრას სად იყო დღემდე
თან უნდა ვკითხო რომ დაბრუნდეს რა გააყურებს
რომ ყველაფერი შეგასრულო პასუხის შემდეგ
ბინძურ სადგურში ავაიმყოფი გული დავმარხე
ოღონდ უბრალოდ მაპოვინეთ ოღონდ მანახეთ

*

მე ახლა ეწუზვარ ანუ ხატებს არ ეეკარები
თანდათან უფრო ვიწროვდება ჩემი თვალები
წელი ბალახის ბრაღია რომ ახლა ასე ვარ
მეტროსადგურში შეზარება ბალახის დასევა
ეცდები რომ მიშველონ და დამამთავრებენ

*

ვიპოვი მერე სახლიდან კი არასდროს გავალ
და გავაგრძელებ ჩემს ნივთებთან აბსურდულ დავას
იქნებ მიშველო მეგობარი იქნებ მოხვიდე
მე სულ ვიციანი სულ კარგად ვარ მხოლოდ დაკარგულ
გულში ადგილი დაგიტოვე. ჩემი ოხვრიდან
ამოსული სულ ლექსებია
ნუ გეშინია გადაეადებ ყველა მაკრატელს
იქნებ მოხვიდე მეგობარი იქნებ მოხვიდე



მიო ლალუაშვილი

პოემა მხარეს, რომელსაც დიდი ხანი ვერ ესტუმრები

1

მოვიწვევ შენკენ, ვახავე მონაკვეთებს და გზომავ სიგრძეს,
ჩემი ნაბიჯები ისე მოკლეა, როგორც ფარდობითობა მზისა და სივრცის
და შენ კი ისე უძრავად დგახარ, ისე მოირგე ქვის ტანსაცმელი,
რომ განდგომილობა ხელშესახებ ცნებად აქციე.
რალა დაფარქვა მომავალ მონახულებას, ნყურვილის მოკვლა?
რას შევთავაზო ჩემივე თავი, თუკი სახელებს გარეთ დაგვტოვებ
და ისე შევეალ შენს კარიბჭეში, გამჭვირვალე და ჰაერზე მსუბუქი?
როდის ჩამოსხნი ჩემს ტანისამოსს, როდის მომანვლი ნოტიო ნაჭრებს,
რათა ხორბლებში შევიხიზნო, მათშივე ჩაექრე.
ჩემო ძვირფასო, რად ამოწურე შენი როლი სიმფონიაში,
რად მიიჩნიე ყველაფერი გასაცლელ საფერფლედ?
თანაარსებობა ისე რთულია ამ ჩემს კითხვებთან,
ისე მარტივად ჩნდებიან ისინი, რომ გაიმეტებ სასიკვდილოდ, მათ შორის მასაც,
რომელიც თითქმის არ დაისმის როცა იძირები, როცა დაფრინავ.
ნეტავ თუ შეგნებს ძალა ძილისთვის? ნეტავ თუ უძლებ?
საგზლით იარე სიზმრების გზებზე, ძალა დაზოგე
და ყოველ დილით სამგზავრო ჩანთა ამბებით აესე.

2

იმ ძველ სიმღერებს აღვიძებენ ბნელი კედლები,
შენი კედლები, ობით სავსე, ფრესკების მსგავსი,
რომლებიც ერთდროს გვაფიქრებდნენ სასნაულებზე,
გამოზაფხულზე კარგავდნენ ტონებს,
ერთფეროვნებას გეაძლეოდნენ, ჩვენ კი გვეჯეროდა,
რომ ღმერთი მხოლოდ ზამთარში გვსტუმრობს.
გაზაფხულამდე გვაძლებინებს თავისი სილუეტით
და მერე კედლის სიღრმეში ქრება.



3

რატომ მითხარი: დაე დაეცი, რათა ბოლოს თხრიდე ორმოებს,
დაე იცხოვრე სოროებში, რათა ბალახის ფესვებიდან წოვდე სასმელ წყალს
და ხეთა რიგებს ხელშეუხებლად მერქანს აძრობდე".
სად დავეყვოდი, რომ შენს ზღრუბლზე კაქტუსები აყვავებულან
და ფერნასული ეზოების გამოთოვლისთვის ძალა მონახეს,
იმით ვინც ღამით ამავე თოვლს გუნდებდა ყრიდა ღობის უკნიდან.
და იქ კუთხეში, სადაც ფეხი არასდროს ხედება,
მარხია ვილაც, ვისი ნაბიჯიც არ უნახავს ქვეყნად არავის,
ვისაც არასდროს მოხედრია გულმკერდზე ტერფი,
არ გატკეპნილა მისი ნეკნი ნაშალი მიწით
და მის მუცელზე მზესუმზირები არ ამოსულან.
ხოლო როდესაც ქიშკრის ჭრიალს გვებულობ, ეხედები,
რომ სტუმარს უნდა შევეგებო დერეფნის ბოლოს
და არეკლილი მისი სურათი, მამცნობს ვინაა.
მერე კი აქეთ, სადაც ვისვენებ, სადაც არ ვჩანვარ,
ეხედები, რომ დროა გაღვიძების, ხელის განედების.

4

და ის ვინც გალობს, მოჩვენებად ქცეულა ჩემთვის,
მისი ხმები კი შენს კედლებზე ჩრდილებს წააგავს.
დიდება შენდა, ვინც დამარხე დედაშენი და-ძმებთან ერთად
და მიეზარე თოვლის კაცებს ცივ უფსკრულებში,
ხოლო როდესაც ამოზურცე მინის წყლულები,
მაშინ ნადირებს ბუნავებში გამოელვიათ.
მტაცე ხელები გაშლილ თმაში, ღამით მეჩვენე
და როცა შენში კითხვებს დავსვამ ხმალი დააგდე,
ხოლო ფარი კი შეინახე სამახსოვროდ, სანეიმრად, ჩრდილად
და ჩემს სტუმრობას გადაარქვი სახელი ძველი,
უნოდე მას ის, რაც გენატრება, ღია კარი, სიმწიფე, სევდა...


5

ძველია შენი შესასვლელი, ანფასი, სახე
და საცალფეხო ქუჩების მსგავსად,
რუკაზე ვწანდიო, რეალურად ველარსად გვანახე.
მარტივიც იყო ისევ შენი კარიდან გასვლა.
პარალელი ხარ, ოდნავ მრუდე, ოდნავ ნაცვეთიც,
თვალებს დაითხრი სამუდამოდ თუ მიგატოვეს,
როგორც მტირალი, ახალგაზრდა საქმრო-საცოლვე
და ველარავინ ვერ შეარყევს შენს სიმართლევს.
ხის ქვეშ დამშვენდი, გამოთალე ვაზა, ქოთანი,
თიხის ჭურჭელი გარეთ გადგი, მსხვრევას ერიდე...
ცოტა დაგაკლდა დარდამდე და ალბათ ოხვრამდე,
მე კი შენს სიტყვებს სმენადახშული მაინც ველოდი.



6

და აი ისიც, შენი ბოლო, შენი საწყისი,
საიდან დაიწყებ მასში შესვლას, ამას აქვს აზრი
ხოლო როდესაც კარს მიღებ და მთხოვ რომ ჩამოვჯდე,
ვხედავ თუ როგორ მიმეორებ იმ იგავებით,
რომელიც ერთ დროს, ბავშვობაში, დედამ მიამბო,
და ასე ცდილობ გამიხსენო, გახსნა უფრები,
ხელი გამიშვა, ნება მომცე ავირჩიო თვითონ ოთახი
და შენ კი მხოლოდ მიმიითითო ზურგიან სკამზე,
რომელიც უკვე ბევრჯერ გატყდა და შეაკეთე.




თემურ ჩხეტიანი

ვთქვი: აღარ მინდა აღარც ლექსი, აღარც იგავი-
არა, აღარ მსურს ვიყო ვინმე სიტყვით მზიიზავი,
მაგრამ უეცრად შენც იცოდა და მაიცი წამომცდა,
მაინც ვთქვი რაღაც, რომ როგორმე გაემთხარიყავი.

დაკაკუნება

მარტოკაცის სახლის კარზე დაკაკუნება
სულ სხვა ხმად გაისმის -
ოთქოს ბახის Toccata und Fuge in d-Moll ინგებოდეს -
შენ ხომ დაგაფეთა და
მთელი სახლიც შეაზანზარა...
წამოდექი და გაიბედე,
ეინაა?
ვის გაახსენდი?
ან წამდელიად შენთან არიან,
თუ მისამართი შეეშალათ?
გააღე კარი,
გაიბედე - არავინაა...
წოცმერის გრილი საღამოა,
გელიძება და შენდაუნებურად იპყებები
საიდანღაც წიაფივით წამოქროლილ:
Knockin' on Heaven's Door...



ისტორია

ძველი,
ნმალის თეთრი ვედრო
(სათლი" ამჟერად არ მოუბედა)
ამოტრუნებული გდია კიბის ქვეშ,
და მის ფსკერს უკან იკითხება:
„Сделано в СССР“.


მას ახლა მხოლოდ
ლუმელიდან ნაცრის გამოღებისას
ან საოჯახო ნაგვის ჩასაყრელად
ვიყენებ ხოლმე.

ცოდვის ევოლუცია

ლეღვის ხეს ამოვიფარე და ფშარდავდი,
უამრავი ფოთოლი მიფარავდა...
იმათთან შედარებით
ასეთი რა შევცოდე,
უფალო?!

წიგნი

ვთქვი:
„დავწერე ჩემი წიგნი“
და უცებ დავბერდი.
ახლა რა ვქნა? -
საით წავიდე ჩემი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით?
რას ვუწამინო
სმენადაკლებულმა?
როდემდე ვცვალო
სათვალე
+0,5-ის ან +1,0-ის
მატებით?..
წიგნი კი რა? -
არის თავისთვის კარადაზე,
პირით - ჩემკენ
და მისვალთვალეს
ხალისშერჩენილი
მონყენილობით.



ლექსი ქარზე

ახლა ვარია და რატომღაც გამეფიქრა:
როდისმე დაბინდებოდა თუ არა ლექსი ქარზე?
ვერ ვიხსენებ...
სადმე კი მეტყვება ნახსენებში,
ბოლონდაბოლოს ჰაიკუში ან მინიმალში მაინც იწინადა თავს,
ცოტას მაინც დაუბერავდა,
საკუთრივ, ქარზე ლექსი კი, მგონი, არ დაბინდებია.
არ მოყვარს ქარი.
ადრე, არ მასწავლა და, ახლა ჩემთვის
(რა რომანტიკა?) სტრუქტურის მომგვრელია,
დისკომფორტულია.
ან რაღა უნდა დაბინდებოდა ქარზე? სხვები
ისე კარგად უბერავენ თავიანთ ლექსებში.
ჰო, უბერავენ - ასეც და იაეც.
ქარზე ლექსი არ დაბინდებია...
არადა, დღეს მთელი დღე უბერავს,
თავს მამუზრებს და სიმშვიდეს არ მანებებს.
მაინც რა უნდა?
დაეფდებ და მასზე ვილაპარაკო?
გუთხარა: არ მოყვარხარ და წადი, მომწყდი თავიდან-მეთქი?...
ჰა, ქარო, არ ჩადგები? არ შემეშვები?...
ან იქნებ ეცადო შენზე ლექსი? - ლექსი ქარზე -
მაინც მძვირად და სიტყვებიც ფრთხილად შეეარჩიო?
იქნებ ასე უფრო შეგასმინო,
რომ წაყნარდე, ჩამშვიდდე, ჩაწივდე...
მაგრამ, მოიცა... გამახსენდა! -
გამახსენდა ჩემი ერთი ლექსი - ქარზეა!..
შერე რა, თუ ის იანვრის ქარზეა,
შენ კი ახლა, ახლა უბერავ -
ლეინობისთვის შუა რიცხვებში.
ქარი იქ ცუდად არ მიხსენებია,
ღირსეულად წარმოგაჩინე
და ახალ ლექსს ქარზე,
უკაცრავად და, აღარ დავენერ! -
მაინცდამაინც არ მეზავისებოდა.
ეგეც შენ, ქარო!..
დაეფდებ კალამს და ფურცელსაც მოგჭმუჭნი.
ჯახდაბას შენი თავი -
უბერეს!..

გარდაიცვალა
ოთხმოცდაათი წლის მარტოხელა პიანისტი...

დაიხურა მისი როიალი,
დასრულდა ეპოქა
და მის სახლში
დაისადგურა სამყაროს დუმბილა
მგრეცინავი სიჩუმით.

ორი ცარიელი სკამი
შემოდგომის ბაღში
და ორი ბელურა სკამების სიახლოვეს -
სკუპ-სკუპით,
უდარდელოდ.

წემის ცივი წვეთი
კისერში,
მეჭმუხეწილი სახე
და მაინც სიცილი...
სულ ესაა -
ეს ვართ...


სალამოს ჰაიკუ

ბამბუკის ძირას
ვარსკვლავითი ციმციმებს
ციცინათელა.



ნინო გუგუშაშვილი

ორი კენჭი ანუ აქ იყო ჩაკ ბერი



ჩაკ ბერიმდე აქ იყო ლენინი, კომპოტები და მამის სახელოსნო.

როგორც კი ფარნამ უცხოელ ტურისტებში სირბილი დაიწყო, მამამ აიღაგა ბოთლები, კუთხეში მიანყო მოლბერტი და საღებავები და ფარნას უთხრა: - აქ შეიკრიბეთ ხოლმე.

მასწავლებლები ამბობდნენ, რომ მამა უწყობს ხელს, არც დედა უშლის მაინცდამაინც, და სწავლა კარგი მოსწავლე ხელიდან - თმას აღარ იჭრის, კომკავშირში არ შედის, ზღვაზე ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს საეჭვოდ უახლოვდება და გაუგებარ ენებზე ეტყობება.

სამაგიეროდ ერთ დღეს ერთი გერმანული ჟურნალი მოიტანა, საიდანაც სარდაფის კედელზე უნდა გადმოეხატა თავის ცნობილ ნახევრად ჩოქმბეგში გაჯირითებული გიტარაიანი ჩაკ ბერი და ორ დღეში უნდა დაეკრუნებინა პატრონისთვის ჟურნალი.

ფარნამ ის ორი ღამე გაათუნა - კედელს ხატავდა მამამისის დატოვებული საღებავებით და, სადამდისაც შენგდა მაქსიმალური გაჭიმვით, კი გამოუვიდა ეს ჩოქმბეგნიანი ჩაკ ბერი თავის სიმაღლე. მესამე დღეს ჟურნალი რომ მოურბენინა პატრონს ზუსტად დათქმულ დროს, ისეთი უძილო და ზედმეტად იყო, რომ იმ გერმანელმა პოლგერმა ჟურნალი საერთოდ აღარ გამოართვა...

აქ იყო სანტანა. ეს სანტანა დიშკამ გადახატა ფარნას სარდაფის კედელზე. კარგად არ იცოდნენ ჯერ, რა ტიპი იყო სანტანა და რას უკრავდა, მაგრამ ფოტოზე ეტყობოდა, რომ კაი ტიპი უნდა ყოფილიყო და აშკარად უკრავდა. ფარნამ ჯერ "ოაზისი" დაარქვა თავის სარდაფს, მერე, როცა ჟურნალის რამდენიმე გვერდზე ლექსიკონებში ქექვით გადათარგმნა, ჩამოსხა "ოაზისი" და დაკადა "სერჟანტ პეპერის კლუბი".

შემდეგ ზაფხულს პოლგერმა პოსტერების მთელი დახატა ჩამოუტანა...

აქ იყო ჯიმ მორისონი. ეს მორისონი ოთომ დახატა. ვისაც როგორ შეველი, ისე ხატავდა, რომელი ვარსკვლავის პოსტერსაც ვერ იმოკდნენ, იმას ხელით ხატავდნენ. მერე რა, რომ ოთოს დახატული ნევრებიანი ჯიმ მორისონი ზოგჯერ გაბრეილ დაფანწულს ჰგავდა და დიშკამ დახატული ცილინდრის ანის სანტანა - დიშკამ ბიძას, რომელზე თვითონ დიშკასთვის მხატვარი იყო, დახარჯნი ქალაქისთვის კი - "მალეირი არტუშა". მერე რა, რომ გიტარაიანი ჰენდრიქსის ფოტო ჯერ არ ჰქონდათ და, როცა დახატეს, გიტარა მარცხნივ დააქერინეს, სამაგიეროდ ევმე და ოდნავ მარცხნივ დატოვებული ნარჩერა მონობდა, რომ ნამდვილად ის იყო და ნამდვილად "აქ იყო ჯიმ მორისონი".

- არ ვიცი, სწორად ვიქცევით? - ფარნას დედა სარდაფიდან გამოდევნილ კომპოტებს და მურაბებს სამხარეულოს კედლის კარდაბა უთავისუფლდება ადგილს.

- რა გინდა, სხედან თავისთვის, ხატავენ, უკრავენ. არ დარბიან სადღაც ღამეში დანებით და მპრიცებით.

- მპრიცები თუ უნდათ, აქაც შეუძლიათ.

- ეგ არ გამოიმპრავდა. შანსი არაა, - მამა სკამზე იდგა და ანტერმოლიდან ძველი საღებავების დიდ ქილებს ალაგებდა, - ესენიც დაჭირდებით, იმხელა

მიკ ჯაგერებს ხატავენ მამაძალეობი.

- უთხარი, ცოტა პატარები დახატონ, ან რა საღებავი გყოფათ, ან რა კედლები?

- ახლა მთელ "პეპერის ორკესტრს" ხატავა ფარნა, მგონი ორასი კაცია, ყველა თუ ნატურალურ ზომასი დახატა, კი ამოუღვენ ზალაში.

- რა გინდა, ფეხბურთის დროს მარტო აღარ დროილბ.

- აბეჭვიტინებენ საყვირებს. ტრა-ტა-ტა-ტა-ტაა. - მამამ "სერჟანტ პეპერის" საყვირების პარტია წაუშლება. - ფუდსტოკის ხატვას რო დაიწყებენ, მერე ერთ ცოდვა.

აქ იყო ჯენის ჯოპლინი. ეს ჯოპლინი იმ დახატა. თექვსმეტი წლის იყო ფარნა, როცა ოთომ ოთხმეტეტი წლის ია მოიყვანა პირველად - პიანინოზე უკრავს მაგრად და ამ პონტებზე გიჟდებაო, მოყვანამდე გავაცნო. იამ სარდაფში გოგოები თითასკლესა, ჯოპლინი დახატა და ზიჟებს დაავალა, თითო გოგო ყველას დაეხატა. ოთომ ენი ლენოქსი გადმოხატა, დიშკამ - შნივდ ო"კონორი, რომელიც ახლა ქედ მოხბილ და თავდადაპარსულ ძია არტუშს დაამსგავსა, ფარნამ - სულ ნორი დოლორეს ო"რიორდანი, რომელიც ჯერ მოსმენილიც არ ჰქონდა, ფოტოდნ შეუყვარდა. გიომ ვილაც გოგო დახატა, ვისი სახელიც არაფერ იცოდა. კუსტარული თხელი ფოტოტიდან გადმოიხატა და მიანერა: "აქ იყო მთხვარე".

ისეთი ღამეში იყო იას დახატული ჯოპლინი, დიდი ისფერი თვალებით, ყვავილანებს გირლანდებით განწყობილი ქრელი კაბით, მძივებით და თავსაკრავით, რომ ოთომ თქვა, ასეთი ღამეში რომ ყოფილიყო ჯოპლინი, აღარც იმღერებდაო. ამანუ ია ცოტა ხანს გაბუტა, მაგრამ პლანტის ხატვა რომ დაიწყო, გაბუტულობა გადაადინდა, თუ რამ სილამაზე ჯოპლინს დააკო, პლანტს დაახარჯა და ისიც ისეთვე ისფერთალბა და საყვარელ დასხიონსებულა გამოუვიდა. ოთოს და ფარნას საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: ია სულ თავის თავს ხატავს, დიშკა - ბიძამის არტუშს.

კიდევ ერთი სტატიის გადათარგმნის შემდეგ ფარნამ თავის სარდაფს "პეპერლენდი" დაარქვა და გამოცხადა, რომ მორჩა, კლუბის სახელი აღარ შეიცვლება იმიტომ, რომ ეს ზედდატორობილი სახელია. როცა კლუბის წევრებს მოუგვა, რომ "პეპერლენდი" - ეს არის ზუსტად ასეთი ფერადი მუსიკალური ქვეყანა, როგორიც მათი სარდაფია, მაგრამ მერე მოდიან ბოროტი ლერევი "მაგნიტო" [ეს სიტყვა თვითონ მოიგონა, რადგან ლექსიკონში შესატყვისი ვერ ნახა] და ყველაფერს ყინავენ, აქვანებენ და აფუჭებენ, ოთომ გააპროტესტა:

- სხვა სახელი დავარქვათ, ეგ თარსი სახელი ყოფილა. ეს რომ ვინმე გაგვიფუჭოს, მართლა დავაქვანებ ადგილზე.

- გავუხეიქვთ თავს, - ფუნჯით ხელში შემობრუნდა დიშკა.

- სამაგიეროდ, ერთადერთი იარაღი, რაც ამარცხებს მაგნიტს, მუსიკაა. მოკლედ, დაუკრავ და ცქვას ინწყებს მავნია, ხდება თბილი და კეთილი.

ოთომ დაწყნარდა და დიშკამაც ფუნჯით მესამე, დრედეტიანი და იამიკის დროშის თვევითიან არტუშს ხატვა განაგრძო - "აქ იყო ზობ მარლი".

- ადვილი ყოფილა მაგნიტის დამარცხება.

- ვინც იცის მუსიკა, იმისთვის - კი.

- ვინც არ იცის, იმას დაერბა?

- შეძლები. იქნებ ხმალი, აკაკანე კალაშნიკოვი - მაინც გაგაგონებო.

ფარანას ისე მოუშრავლდა უცხოური ჟურნალები და ფირფიტები, იმდენ დროს ატარებდა უკვე თავის "პეპერლენდში" და იმდენი მეგობარი ჩაითარა სარდაფში, რომ კლასის ხელმძღვანელი უზარალოდ ვალდებული იყო მის დახასიათებაში შესწორებები შეეტანა: "არის უფროდიდებული, აქტიური ახალგაზრდა, მცხოვრებელი შორის სარგებლობის გადაჭარბებული ავტორიტეტით, სკოლის საბელმძღვანელოებზე მეტად ეტანება კლასგარეშე ლიტერატურას, მომეტებულ ინტერესს იჩენს ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი და მისი იდეურ-პოლიტიკური მდგომარეობის დონე დაკვირვებას საჭიროებს".

ფარანას სულ ბოლო ნახატი და წარწერა - "აქ იყო კურტ კობეინი. 29. 09. 92".

სად არის ახლა კურტ კობეინი? თუ გაუშართლა, საშუალო ნივანამია. თუ არა და... იმაზე ფიქრიც არ უნდა იოთოს - ეშმაკიც შევა კობეინის მდგომარეობაში და დღეობიც.

და თვითონ თოთ სად არის? - თოთ ნელამდე ბალახში მიაბრუნება, დიდ ჯაყვას შლის და ცდილობს სახლის ძირში მოსული ფეხი და ჭიჭინი მოჭრას, შამპის სველანაინი ფეხსაცმელში ჯეგავს - აქ სადღაც კიბე უნდა ჩადიოდეს, სულ თოთი საფეხური, მერე დაბალი კარი უნდა იყოს, რომელშიც მალაქლახლები უკვე ოდნავ მოხრილები შედიოდნენ ამ ოციოდე წლის წინ. კარზე "Pepperland" უნდა ეწერათ. გასაღები მარტო იოთოს და ფარანას ჰქონდათ, ვინ გამოცვლიდა საკეტს? ერთი ფეხის დარტყმა და კარი იღება - თოთ ეხვევა სიბნელესა და გიგანტურ აბლაბუდაში. ასეთი აბლაბუდა, აქაური სახლების გარდა, მარტო ფილმ-ზღაპრებში უნახავს. მოხილურის ფარანას ახთვის. აქ იყო ჩაქ ბერი. ჩაქ ბერისგან მარტო ჩოქმბეგნი დარჩენილა. აქ იყო... აქ ვინ იყო, აღარ ახსოვს, ჩამოგერეული ბათქიში, თბათა დაფარული. საოცრება, იას დახატული დიდი თვალები მოთეთრო ობიდან ისევ ლურჯად იყურებიან, კედლის თვალებივით - სამი კედლიდან სამი წველი თვალს იყურება. ალბათ საუბრები იყო ისეთი, ობი არ ეკარებოდა. სახანვეროდ ჩამოხრილი კედლები იას თვალებში იყურებიან - ომა შებამნიისფერი თვალები ჰქონიაო, ოთომ გაიფიქრა. მარტო თვალები გადარჩა და შიგ ჩახატული დიდი გოცება.

როცა დაინყო ის, რაც ზოგისთვის ეროვნული თვითგამორჩევა იყო, ზოგისთვის სისულელე და ზოგისთვის სანდო გოჭიხილი ექვანა, "პეპერლენდის" კედლებს შეუქმნევლად მოახევა გარედან მიუღი ეს ქაიში, აგრესიული ქუჩისკოლოფობა და შეგონებები - "რა დროს გიტარაა, ბიჭო! ახლა ავტომატი უნდა გეჭიროს!". ისევ უკრავდნენ, არ იმჩინებდნენ ზარებს, მაგრამ ეშმაკები. დეტყუ და-უშთავრებელ ნახატებს და გამოტყვევულ დღეებს, ნაძალადეგ სიცილებს და სხვა მხრივად, სხვა წრიდან მოყოლილი გავლენები მონაბერ ნამოცდენებს. დიმი ზაფხადგრომილი უეტყარ დიმიტრი სოვდანას როვი ცხად, ვიღაც ზაბუნაინის, ტომპოლიანის და ბაგრაშიანის ხსენებას უმატა და ერთხელ, რატომ-

ღაც, ბიბამისი არტუმა ერნესტო ჩე გავრესა და დალალებით გამოსახა "პეპერლენდის" კედლებზე. ცოტა ხანში თოთი თქვა, შტიკ-ნოვი ვითრი და შეიძლება კალაშნიკოვი მალე ვითრიო. საიდანო? გამოცოცხლდა დიმიკა, რომელიც უკვე უნდოდ აღზარდებდა თავის ორი წლის წინანდელ სიამაყეს და ბედნიერებას, ადღერდნენ ჩამოტანილი პასეიტარას, ვიღაც შავრად რუს სადესტორს მუსიკოსს რომ დარჩა მამამისის ფოტოატლეიში.

რა "შტიკ-ნოვი", თქვენ ხო არ გარეკეთო, ფარანამ, მაგრამ ბიჭები უკვე იარაღზე უფრო დიდი გეტაცებინა ლაპარაკობდნენ, ვიდრე ახალ აკორდებზე. მარტო ია უფად ერთგულად პიანინოს და "Riders On The Storm"-ის შესვალად პარტის აწკრიალბდა კლავიშებზე, და ვიო რიგრიგობით იქნებდა ხან ნამდვილ მარაკასებს, ხან თვითნაკეთ შეიკერებს - სახალწლო ნაძვის მის სოსართავ ორი სხვადასხვა ზონის ბურთს, რომლებშიც ზღვის წვერილი ქვიშა თვითონ ჩაყარა. არ ბეზრდებოდა გიოს შეიკერების და მარაკასების ჩხარუნი - თოთმდ ვინმეს რამე დეტყრა, უეტებ აყუდებოდა. დრამის ნაკრებიდან ჯერ მხოლოდ ვიბებზე ჰქონდა ნამოუნი და იმ მუშა დოლზე ოცენებობდა, კულტურის საბლში რომ ჰქონიათ ძველი დრამიანი შემორჩენილი, "მარახილშიკს" დაველაპარაკებო, ტარანა დაპაიროდა, შეიძლება "რაბოჩი" ვითროთო, "რაბოჩი" თუ ითრიონ, მერე ბასი, თუფში და უკვე დაკვრაც შეიძლება - ამას იხილავდნენ გიო, ფარანა და ია, ვიდრე ოთო და დიმიკა "შტიკ-ნოვზე" და კალაშნიკოვზე ლაპარაკობდნენ, და ეს სიტყვები - "შტიკ-ნოვი", "ბას-ბოჩკა", "კალაშნიკოვი" და "რაბოჩი" ისეთი შეუთავსებელი ჟღერდნენ თხლებონებზე ერთმანეთს ამ სარდაფში, თოთიო "პეპერლენდის" კედლები შეუთავსებლობის ატომის სიანჩლით სდებოდა და იმზარებოდა, ბზარებიდან კი გარეთ მოზანდა ასევე შეუთავსებლობის სიანჩლით დამეტყულები ხალხი - ზოგი ზღავზე მიდიოდა სახანოდ ან კაფეში ყავის დასალევად, ზოგი ყალყზე შემდგარი გაჟეკიროდა დოზებოდა და ვიღაცასთან საოზრად ეშმაკებოდა, ზოგი სარდაფის ბზარებში იქვერტებოდა რუპორივით მყვირალა მჭერით - "რა დროს გიტარა და დოლია, ავტომატი უნდა გეტყროთ ხელში!"

აქ იყო რინგო. ეს რინგო გიომ დახატა. სად არის ახლა გიო? გიო ერთადერთი იყო, რომელსაც გვარის მეტყვლის ულტიმეტუმი არ ნაუეტენა, იმიტომ, რომ ვერ მოახსრვს, რადგან გიო ერთადერთი იყო, ვინც ფარანას გაჰყვა პარკი დასაკრავად. ჩაყარა გადასაკრავებელ ჩანოთში თავისი ყველა მარაკასი და შეიკერა და ნაყვა უსიტყვოდ, თუმცა არა მორჩილად, არამედ ისევე ჯუტყვად და პრინციპულად, როგორც თვითონ ფარანა ნაყიდა... სად არის ახლა გიო? თუ გაუმართლა, ალბათ, კობეინივით, ისიც მარადიულ წირენანში, თუ არა და... სხვა გზა არ არსებობს, გიოს სხვაგან რა უნდა? - ჩვიდმეტე წლისაც არ იყო ჯერ, იჯდა, მშვიდობიანად იქნებდა თავის ზღვის ქვიშაინ შეიკერებს, დრამად ოცნებობდა და მუსიკის მიმინების დაფრთხობის და გადაძაბურების სწამად...

ხანდახან ბიჭები თბილისში ჩადიოდნენ იქაურ ბიჭებთან ერთად დასაკრავად, ხან ზუგდიდში, სადაც ფარანას ბებიი და ბაბუა ცხოვრობდნენ. ყველგან ერთი და იგივე ისმოდა: რა დროს გიტარა და

დოლია, რა დროს კიკინები და შორტები! ახლა ეაფ-
კაცი ავტომატით უნდა იბრძოდეს.

- ავტომატით, ვის წინააღმდეგ?
- ქართველების წინააღმდეგ.
- როგორ? შე თვითონ ვარ ქართველი. შე - ჩემ
წინააღმდეგ?

- შერ აფხაზი ხარ.

- მერე ეგ ერთი და იგივე არ არის?!

დამკამ და მოთმაც კი აღარ დაუჭირეს მხარი,
ბოლო-ბოლო, უნდა აირჩიო ვისკენ ხარო. ფარნა მუ-
სიკისკენ იყო. ეგრე არ არისო. არჩევანი უნდა გააკე-
თო და იარაღი აიღოო. ფარნამ აიღო იარაღი - როცა
ქალაქში ყველა ისროდა, აიკიდა გიტარა და ქალაქის
პარკში წაიღო დასაკრავად. გიომ წამოკრიფა თავი-
ნი "კუბანარები" - მარაკასები და შეიკვრები - და
გაჰყავა. მათ ეცვათ თეთრი მისურები ფერადი წარ-
წერი "Pepperland" და ეგონათ, რომ ამ წარწერის
დაწახევაზე მავნიები იარაღს დაყრიდნენ და აცეკ-
ვებოდნენ. წარწერის ყველა ასო იმ გამოჭრა სხვა-
დასხვა ფერის ნაჭრებისგან და დააკრა მათ მისურ-
ებს. ჰყავდათ სულ ოთხი მსმენელი - დიშკას ზიძა
არტუშა, რომელსაც კვარტლის გვერით პარკში სკა-
მების გადაღება უნევდა ამ დროს, მისი ძალი "ტარ-
ტაროზა", ის მამიდაშვილი გოგონა, რომელსაც ფარ-
ნაზეც ჰქუა ეკეტებოდა და გიომიც და სახლიდან
გამოძიარა მათ მოხსამენად, და ლოთი მატყვი, სულ
პარკის სკამებზე რომ ეძინა დაზამთრებამდე. პირ-
ველი კომპოზიციის შემდეგ კი მსმენელთაგან სამ-
მა ტაში და "ტარტაროზამ" ოთხის ქიჩინი არ დაი-
ნანეს, გიო ძალიან ბედნიერი იყო - ეს იყო მისთვის
პირველი ოფიციალური აპოლოდისმენცები. მეორე
კომპოზიციის დაწყებისთანავე სადღაც ახლოს, ბე-
გის მიღმა გასკდა მჭიან რაღაც მესხმაცვარი და
გიოს ფეხებთანვე დაეცვიდა გიოს მარაკასები. ბი-
ჭების თეთრი მისურებს და ფერად წარწერებს სის-
ხლის შიშვების და ბილიკების პრინციპი ნივთლე-
როიანი მისაკებივით მიეხატა და შემზარავად მო-
უხდა. გიო საფაფქოფოში მიყვანამდე დაიკალა
სისხლისგან. ფარნა თენიანებიერი გადადიოდა და
გაეძლიოდა საიქიოს საზღვარზე და ბოლოს, რო-
გორც თვითონ ფარნამ თქვა, "იქით" უფრო პრინ-
ციპულეობი აღმოჩნდნენ - არ მიიღეს. გონზე სოჭის
საავადმყოფოში მოვიდა, სადაც ბიძამისი პრეზი-
და, ოთოს მამა...

ამბობდნენ, რომ ოთი და დიშკა სადღაც იქვე
ტრიალებდნენ, ხეებიდან უთავალღებოდნენ, უნ-
დალად დადგრა, მაგრამ ეგრე ბედავდნენ - მათი იარა-
ღიანი და "შუშლატიანი" წეროსანი უფროსი ძმები
დასცილებდნენ ან სულაც პასუხს მოსთხოვდნენ სი-
სხლის ტყისთვის. ოთი და დიშკა პირველები მოცვი-
დნენ სროლის შემდეგ.

კიდევ ამბობდნენ, რომ ხასანას "სასტავიდან"
ესროლეს ბიჭებს, რომ ამის შემდეგ ჯერ არტუშა
ეჩხუბა დიშკას, სად დაუთრევია, სახლში დაეგდო,
მერე დიშკა ეჩხუბა ხასანას "სასტავს" და იმათ
გაასმევივნეს ტვინი დიშკას და მერე არტუშამ გა-
ახსმევინა ტვინი ხასანას. მაგრამ ფარნა არ დაი-
ტერესებულა, ერთხელაც არ უცდია იმის გაგება,
ვის ესროლა, - ქართველმა, აფხაზმა თუ ბრმა
იარაღმა - რა აზრი ჰქონდა რომელიმესთან ლაპა-
რაქს? ბრმა ტყვიის გარდა მაინც არცერთ ვერსიას

არ მიიღებდა.

ფარნამ არ აღიარა ომი, არ ცნო, არც მაშინ და
არც მერე.

ისევე, როგორც მანამდე არ ცნო ეროვნული მო-
ძრაობა, არც ქართული, არც აფხაზური, და კიდევ
უფრო ადრე არ ცნო კომპაქტური და კომპარტი. არ
ცნო მთელი ეს გეზალტირებული და ყალბე შე-
დგარი სიგიჟე, გამოჯანმრთელების შემდეგ გერნა-
ნიამი წაივდა მშობლებთან ერთად, მუსიკას არცერ-
თი დღე არ დაშორებია. ევროპაში წასულს დახედა
"წირვანას" ხანა და სწორედ იმ მოკლემანძილ გიგოს
ხანა, რომელიც მან ფოტოდან გადახატა გაგრანში
"პენერლენდის" კედელზე ისე, რომ გოგოს სახელი
არ იცოდა. და როცა მთელი სტადიონი და მთელი ფე-
რისა "Zombie"-ს მღეროდა თავდაუწონებით, ფარ-
ნას საქართველო აქედან კიდევ უფრო გულსკლა-
ვად გაზაბნეული, განწილი და ამღერული ერევა,
მაგრამ მარცხზე ფიქრი არ უნდოდა და დამაჯივრ-
ებულად არც არავის თვლიდა. დარწმუნებული იყო,
რომ უბრალოდ, დრო სჭირდებოდა გზის მოხსენა-
ვად ამღერეულის დანაშენს. ამ დროს დაიცვოდა, ამ
დროს აძლევდა ყველას, ოთოსაც კი არ უკავშირდო-
ბოდა, არც იას...

ია სად არის ახლა? თბილისში ცხოვრობს, წერს,
ხანდახან უკრავს. სამი თელი ზუგდიდშია წასულ-
დევნილთა ზელასალი აღრიცხვის დროებითი კომი-
სიის წევრი, კომისიას ბევრად უფრო გრძელი საე-
ლი აქვს, მაგრამ ია არ იმას სოვრებს სრულ სახელს,
შემოკლებით "ზენდ" ეძახის და საღამომიანი ზე-
დიდის ტურებში დაბორობლობს, ეცნობა ქალაქს, რო-
მელიც რაღაც ძალიან მოზოლურთან ახლოსაა. დი-
ლიდან ისევ მოდიან დევნილები, როგორც ოფიცია-
ლურად უწოდებენ - ოკუპირებული ტერიტორიები
დან იძულებით გადაადგილებული პირები, რჩენი
დგებიან, კითხვებზე პასუხობენ, იღებენ სურათს
და გადაიან.

რიგში ისე დგანან, თითქოს რაღაც განსაკუთრ-
ებული იყინა, რგში დგომის ოცნლიანი გამოდილ-
და აქვთ. ასე სხვა ვერ დადგება რაგში. მათი ელ-
რება რიგში დგომა და მოლოდინი - მატარებლის
მოლოდინი, გემის მოლოდინი, დაბინავების, აღწე-
რის, დაბრუნების მოლოდინი...

იას წინ ასაკოვანი კაცი ჯდებოდა.

- ელადიმერ ბაღმთილი ბიჭტორის ძე, ოთხმოე-
დაორი წლის - ისეებს თვითონვე, ხანამ ია მის ანე-
ტას ეძებს. - სოხუბის რაიონი, სოფელი ანდარა.
ფილმი ზომ გაქვთ ნანახი, "ჩიორა", იმამი ვთამაშობ,
ჩვენივე გადაიღეს.

- მართლა? "ჩიორაში" ვის როლს ასრულებთ?

- იალალიძე! - ასე გავრთიანებული სახელით და
გვართი მიმართავს ხოლმე იას კომისიის თავმჯდო-
მარე, მისი ბავშვობის მეგობარი, - შენ აქ შენი მწერ-
ლური ცნობისმოყვარეობის დასაქმყოფილად
ჩამოხვედი თუ საქმის საკეთებლად?

- ანაბერიძე, - იმავე სტილით პასუხობს ია, - სა-
სარგებლოდ ვუთავსებ სახამოვნოს და უსამოვნოს.
- "ჩიორაში" კარგი ვეგავარ, ბალნისაში, - თა-
ვისას აგრძელებს იძულებით გადაადგილებული ბა-
ლიშვილი - იმ გოგოს გუგუნებით, კარში რომ შექუბა-
რება, "სად მიდიხარ? არ შეიძლება". იქ ჩემი მშვე-
ლენია, სხვისი ბავშვი უჭირავს, მომსვლელები ეთოშ.

გაიცინა, ძალიან ცოცხლად ლაპარაკობს, არ ჩუმდება. უცებ მოხლონი იტყობს ხელი:

- შეილი მომიკვდა, შეუღლები მომიკვდა, რა მაინებს! - და დადუმდა. ლურჯი თვალები აქვს, ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეში, იქ მალაზისი მერნობა დაუთმეს.

- დამიკანონებენ? - ეკითხება იას და პასუხს არც ელოდება, - აქაურ ოქროს იესური ნახშირი მირჩვენია...

შესვენების შემდეგ მომსვლელი თანდათან კლუბულობს, საღამოსკენ სულ უფრო იშვიათდება.

- ზოგს რა უცნაური სახელი აქვს, არა? - ამბობს ნომა, - ახლა მამანტი გეგუქორი მყავდა.

- რა რაბი ლამაზი! გავაზარე.

- მე კამიტოც მყავდა და კამიტონიც.

კომისიის წევრები ანკეტებს ათელოერებენ და ცდლობენ ყველაზე უცნაური სახელი მოძებნონ. "ბენდის" წევრების უმრავლესობა ახალგაზრდაა, ზოგი - სტუდენტია სტაჟირებაზე.

ამ დროს იას წინ ლამაზახიანი ასაკოვანი ქალი ჯდება - ნატრული ბებია. ნატრული სახელია, ბებია - გვარია.

შეხება, მართლა სანატრული ბებიაა, რომ ინატრებ, ახლა ბებიას ჩამახუტაო, ისეთი ბებიაა. არადა, სინამდვილეში მამიდაა. არ გათხოვდა, თავისი დეობლებული ძმისშვილები გაზარდა, ახლა იმით შვილებს ზრდის.

ამლახავი დაჰყვებიან ამ პატარა ქალს თავისი გაზრდილი ძალიანი ძმისშვილები და ძმისშვილიშვილები - შვიდნი მოვიდნენ ერთად: ნატრული ბებია, ორი ძმისშვილი და კიდევ მათი ოთხი შვილი - სუყვე ბებიები. ჯერ ნატრული ბებია, ანუ მამიდა დასაგეს ისათან, დანარჩენები სხვა ოპერატორებთან ჩამოვრდნენ.

ნატრული ბებია კი არა, ნატრული მამიდა ყოფილხართო, ირაკლი ეუბნება.

ბებიების ნასვლის შემდეგ მოდიან ხეინგიები, ყველა წვეტებს ძეგლი და ასულები არიან, და ოზორია მაკატერინე ვაგნერიის ასული. ია ცოტა ხანს თავისუფლდება და ეზოში გასვლას აპირებს, მაგრამ ეზოში მანქანა ჩერდება - კიდევ ვიღაც მოდის რეგისტრაციაზე. ია ადგილზე ჯდება.

- ეა, რა საინტერესო ტიპი მოდის, - ამბობს სალო.

ირაკლი შემოსასვლელში საბუთს უშონმებს ახალ მომსვლელს და ხმამაღლა კითხულობს მის სახელს, ამით თან თავის ოფიციალურ მოვალეობას ასრულებს, თან კომისიის დანარჩენ წევრებს უყვებს უცნაურ გვარ-სახელების აღმოჩენის ჩემპიონატში:

- ფარაონ რამზესის ძე ქეტბია. მიბრძანდით მეოთხე ოპერატორთან.

ფარაონ რამზესის ძე იას უახლოვდება, საბუთს მაგიდაზე უდებს და ჯდება.

- ია, - ამბობს ისე, თითქოს არ იცის, დარჩეს თუ წავიდეს, - შენა ხარ?

- ოცი წელია გიცნობ და ფარაონი თუ იყავი, არ ვიცოდი, - იღიმის ია და ხელს უწვდის.

კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. ნონამ და სალომ ესმაკურად ჩააბაჭუნეს თვალები რალაცის ნიშნად, თუმცა რის ნიშნად - თვითონაც ვერ იტყვოდნენ.

ისათან გასაუბრების შემდეგ ფარაონ რამზესის ძემ კომისიის თავმჯდომარესთან გაიარა დამონების პროცედურა, ანკეტა აიღო, ზოგადად დააქნია თავი გაუგებარი დამშვიდობების ნიშნად და გავიდა.

მისი გასვლა ცოცხალი და კომისიის წევრები, რომლებსაც ამ დროისათვის ყველა მომსვლელი გაემგავათ, ერთბაშად ახმაურდნენ:

- აუ, რა მაგარი ტიპი იყო! - ყელი გამოიწია სალომ.

- იცნობ, ია?

- ბავშვობაში ვიცნობდი.

- რა ტატუ ქონდაა, მეც მიინდა ეგეთი ტატუ!

- თმებიც რა მაგრად ქონდა შეკრული.

- თან როგორი სპორტულია, რალაცნაირი.

- მანქანაც უცნაური ყავს, ერთ მხარეს კონდოროთუ შეგარდნი ახატია, მეორე მხარეს კუ, - თქვა ირაკლიმ.

- ვაიმე, კუსი მეწინია, მაგრამ ამას ყველაფერი უხდება, - აღტაცებას კუს მიმიც ვერ უწვდება სალოს.

- კუსი რატომ გეწინია? - იკითხა სიდიწვით და აუღელვებლობით გამორჩეულმა ტატომ.

- რა ვიცი, ძალიან მეწინია. კუ რომ მომიახლოვდეს, გავიქცევი, არ შემიძლია.

- თან თუ გამოგეკიდა, ხომ ვერსად ნაუხვალ!

ამ ყრამიულში ირაკლი შემოსასვლელი კარის მიწებიდან ისევ ფარაონ რამზესის ძეს უთვალთვალავდა. ფარაონი ცოტა ხანს იდგა ეზოში, თითქოს ბოლო მომსვლელის ნასვლას ელოდა, მერე მანქანის კარი მისხურა და ჩქარი ნაბიჯით ისევ ოფისისკენ წამოვიდა.

- მოდის, მოდის!

კომისიის წევრები მაგიდებს დაუბრუნდნენ და საქმიანი თავები კომპიუტერებში შერგეს. ფარაონი შემოვიდა, პირდაპირ იას მიადგა და იკითხა:

- რომელი საბუთი თავისუფლდები? - კედლის საათს ახედა.

- ზოგადად, რყავ. ზოგჯერ მერცე გვაქვს საქმე.

- დავსხდეთ სამე, ვილაპარაკოთ.

სალომ ტაში შემოჭრა:

- სულ ორი ნორმალური რესტორანია აქ, "მენძელი" და "დარონი". ორივე კარგია.

- შენ სად მოსანარი აქაური რესტორნების შესწავლა? - სათვალის ზემოდანი გადმოუყვდა კომისიის თავმჯდომარე, სალომ პირზე ხელი აიფარა, მაგრამ მომენტ თვალები გააქტიურა.

- ჰმმეცი შენი ტელეფონი, ია, დაგირეკავ და შევეხვეთ.

- მე ხომ მაქვს შენი ანკეტა, მე დაგირეკავ, როცა გავთავისუფლდები.

- რომ არ დამირეკო?

- დაგირეკავ.

კომისიის თავმჯდომარემ სიცილი ველარ შეიკაპა:

- ძალიან ხომ არ ჩქარობთ, ბატონო ფარაონ?

- ფარაონ რამზესის ძემ თავმჯდომარეს გახედა: - რალაცნაირი... თქვენი სახელი?

- ანა.

- ისედაც ბევრი დრო დავკარგე, ქალბატონო ანა. იმედია, დღეს მალე გამოსვლებით.



- სადაც ამდენი იცადეთ, რეაგირებთ დაგველოდეთ.

- კარგი, რეაგირებთ დაგიტოვებთ, - გაუღიმა რამზესის ძემ, - თუ არ დამირეკავს, ხელაღე მოვალ.

მისი გასვლის შემდეგ, სალიმ ყელი გამოუწია ის:

- არ დაურეკო რა, ხელაღე მოვიდეს.

- არასოდეს არ დაურეკო, ყოველად მოვიდეს.

- რას ამბობთ, მომიდენია კომისია, - ბლერას ცდილობს კომისიის თავმჯდომარე და ბანდერებს აბერტყებს ერთმანეთზე, - ახლა რო დაგივლით ანკეტებს და არ დაჯდება ბალანსი, ფარაონები მიმელოინ მერე, ზო.

- რესტორნის კაბა წამოღებული გაქვს, ია?

- რესტორნის კაბა არა, კეხი და ბროლის ქოში.

ჯინსების და მაიკების მეტი არაფერი მაქვს.

- გათხოვებ, მე მაქვს კაბები.

- ნუ მაიცინებ.

- ასეთი კარგი ტიტულოვანი სახელი რატომ ქვია?

- წარბეჭკვით და დიმილშეპარვით იკითხა ტატომ, ვერ გაიგებდი, ხუმრობდა, მართლა აინტერესებდა თუ საკუთარი იუმორით ტყულობდა.

- რა ვიცი, მთელი ცხოვრება ფარნად ვიცნობ და... მამამის რამზესს კიდევ რამაზი ერქვა.

- ოჰ, გიკვირთ თქვენ, მეგრელებს, კარგი ტიტულოვანი სახელები!

- ბაბუა ეყოლებოდა ხეოდსი, ის დაარქმევდა.

- არა, რაღა საჯაროდ დაუნიშნა პაემანი, მთელი კომისიის თვალწინ, კაი თავხედი ჩანს. - ვერ წყნარდებოდა კომისიის თავმჯდომარე.

- შეეადგინათ აქტი და მოეხანოთ ხელი.

- სულ ასეთი იყო, - თქვა იამ.

- როგორი? როგორი? - სალი იას მაგვდასთან მიიჭრა.

- სალო გაგუშვათ ის მაგივრად. კაბაც ქონია და უფრო მოტივირებულიც ჩანს. ია აქ უფრო გვჭირდება. - ტატოს, ასაკის და ჰაბიტუსის გარდა, თავმჯდომარის მოადგილის სტატუსიც აეღლებოდა და რაციონალურად ეაზროვნა.

- როგორი იყო? როგორი? - უკვე მაჯაზე უჭერდა სალი იას.

* * *

აქ იყო ფარნა ქექვაბია. ისეთი, როგორიც მარტო თვითონ იყო.

როცა დიმიკა სოვდარაძე ილი უეცრად დიმიტრი სოვდარაძე გახდა, ზოლო თითო ქექვაბია - ოჭარ ქექვაბი, ტარანა კი სულაც ესტონელი მაშინერთა ოჭო ტარანდი აღმოჩნდა და მაშამისმა სასწრაფოდ გაგზავნა ტარტუსში, ფარნა დარჩა ფარნად და გიო დარჩა გიოდ.

პირველად ხასანა ჩამოადგათ სარდაფში წვერ-მოშვებული და საქმიანი სახით. ხასანა 4-5 წლით უფროსი იყო, გაურკვეველ ავტორიტეტად ითვლებოდა, ახალი თაობის მუსიკოსთა მარაქში გარეული მოშავო-მოკარგიბიჭო-მოინტელექტუალ-მოკარიერისტი სტუდენტი, გაურკვეველ ფულიანი მაშინ-კისი შვილი, ჯიბეში ყველაფერი რომ აღმოაჩნდებოდა ადგილზე: ფულიც, მოსანეიც, პალსტუხიც, კულტურის სახლის გასაღებიც, სადისერტაციო ნაშრომიც, "სტენკინიც", კანფეტები და სათამაშო "საქმიან" საუბარში შემოსწრებული ბავშვისთვის, და

კასეტაც, სადაც "ქაშირი", "ბუტიჩი" და "მოსკოლის სონატა" ერთად იყო ჩანერილი. ხასანა წვერებდა, ვის უნდა დავეკრა კულტურის სახლის აპარატურაზე და ვის - არა. კარგად თუ დაუკვირდებოდი, უფრო იმას აკონტროლებდა, ვის არ უნდა დაეკრა, ოსტატურად უნდა აეჩენა მხრები, რომ ეს მისი გადასანყვეტი არაა, ამას სხვები სწევტენ, და ასევე ოსტატურად უნდა დაეცვა იმ "სხვების" მიუწვდომლობა და გასაიდუმლოების მარადიულობა. ფარნა ხასანას "ხასანა-ბეგ თავდგირიძეს" ეძახდა და აქედან შერჩა "ხასანა", მაგრამ ხასანას ამის სანინა აღმდეგო არაფერი ჰქონდა. უფრო პირიქით - კი სჭირდებოდა ერთი ბუნდოვანად ავტორიტეტული ზედმეტსახელი.

ასე გიტარააკიდებული სიარული ახლა აღარ გამოგადგებოდა, სხვა დროაო, ამ თქვენი სტუდიდან მუსიკის ხმა ისმის და ქალაქში დამბულობაა, ხალხი ნერვოზება - "პეპერლენდში" ჩამოვიდა და რაღაც გაუგებარ ბოძვას მოჰყვა ხასანა ზედა ტუნის კვერტი და უღვამის წვალბეთ.

- მომიშინე, ხასან-ბეგ, შენ საერთოდ ქუას რა პონტში არიგებ? რაც გაქვს, ის დაარიგე. - უთხრა ფარნამ.

- რა მაქვს?

- ფული გაქვს, ფული დაარიგე.

ხასანამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქ კარგახანს იჩხრიკებოდა სანამ გადაწყვეტდა, რა ამოეღო. ზოლოს გასაღებების ასხმულა ამოიღო და თითქმის ატრიალა:

- ფარნაგა, ცოტა ზრდილობა ხომ არ გაკლია? ჯერ ერთი, ჯიბიდან ხელი ამოიღე, როცა უფროსი გელაპარაკება.

ფარნამ მეორე ხელიც ჯიბეში ჩაიყო:

- თუ დაგიჯდეს ქუაში...

- რომელიც არ მაქვს...

- ჰო, თუ დაგიჯდეს ქუაში, რომელიც არ გაქვს, მაშინ გასოვდეს, დრამი გვჭირდება ძალიან.

- შენც თუ დაგიჯდეს ქუაში, მაშინ გასოვდეს: ავტომატი გჭირდება ძალიან. - მუქარით გამოცრა უადგილო წვერ-უღვამეში ხასანამ და წავიდა.

- გადაგვეკიდება, - მაშინვე თქვა დამფრთხალი ზაზუნას თვალებიანმა დიმიკამ.

- ია არ იყოს აქ, გიტყვი, სად გადავიკიდოს.

ხასანას შემდეგ სხვა ტიპები მოდიოდნენ ვითომ მუსიკის მოსაზრებად, ცოტა ხანს ისმენდნენ და მერე მეტ-ნაკლები ოსტატობით გადადიოდნენ ბიჭებია პოლიტიკური ორიენტაციის გასარკვევ შეკითხვებზე. ზოგის ოსტატობა იქამდე მიდიოდა, რომ ფრენა პაპას ან დინ რიდის პოლიტიკურ ორიენტაციაზე საუბრით იწყებდა. ფარნას ყველასთან ერთი ხაზასუ-ხო შეკითხვა ჰქონდა:

- ავტომატი? ვის ნინააღმდეგ?

- ქართველების ნინააღმდეგ.

- ანუ, ჩემ ნინააღმდეგ?

- შენ აფხაზი ხარ, ქექვაბი.

- მე ქართული ვარ, ქექვაბია.

- მაშინ აფხაზების ნინააღმდეგ.

- თან აფხაზი რომ ვარ თურმე? თავში ვირეხეო?

- აბა, რამე ხო უნდა ქნა.

- აუცილებლად უნდა ავიღო ავტომატი? რო არ მინდა?

- უნდა ჩამოყალიბდეს, რა გინდა. გამოაკელი შენს გვარს ეგ - "ია".

- ესე იგი, იას წინააღმდეგ ავიღო ავტომატი?
- აი, თითო ქვეყნამ გამოაკლო და ჩამოყალიბდა.
- ამიტომ თითო ჩემი ბიძაშვილი აღარ არის? ვეს-
როლო?

დაუსრულებლად ტრიალებდა უაზრო პასუხების კარუსელად და არავის ჰქონდა ერთი სწორი პასუხი. თითქმის არ ჰქონდა, მაგრამ თავის გვარს - "ია" მა-
ინც გამოაკლო. მერე, როცა გიო საავადმყოფოსკენ
გზაზე დაიკალა სისხლისგან და ფარნას საიქიოს სა-
ბაჟოზე ალოდინდებდნენ, ოთო თანდათან გამოუთ-
ქმელი ბოლმით დამძიმდა და ნანობდა, რომ ავტო-
რიტეტული ნევროსანი ბიჭების გულის მოსაგებად
ისე მალაქუნობდა, სარდაფის გასადღები კი ჩაუფ-
და მათ ხელში. ნევროსნებმა დაიკავეს სარდაფი და
ჩაკ ბერიზე ავტომატები მიაყუდეს. პიანინოზე კონ-
სერვის ქილები დაალატეს, პიანინოს ქვედა კორპუს-
ში "მოსანევი" ჩამალეს, შენდრიქსს ლურსმნები ჩა-
აქედეს და ზედ "ბუშლატები" ჩამოკიდეს. ოთო აჩას
არ ელოდა, რუმად იესებოდა ბოლმით, მაგრამ ვერა-
ფერს უბედავდა უფროს "მშებს" - პატრონებს, შე-
კიბისეასაც ვერ უსვამდა - ალბათ ასე უნდა პატრონო-
ბობა და მას არ ესმის, თავს ხომ არ შეირცხვენს.
ვერც მაშინ გაუბედა ვერაფერი, როცა ხასანმა ის
ფუნჯი თეთრ საღებავში ჩააწო და ყველაზე გამოსა-
ჩენ ადგილას პიანინოს თავზე წააწნა: "აქ იყო ხა-
სანა". შემდეგ დანარჩენებს უბრძანა, თქვენ-თქვენი
გვარსაბელები ჩამოწერეთ, რომ აქ იყავითო. ოთოს
გარდა ყველამ დაწერა, რომ აქ იყო. ბოლოს ხასანამ,
ოთოს გაუქნია თავი:

- მიდი შენც.
ოთო მივიდა. თეთრი საღებავით დაწერა კედელ-
ზე: "აქ იყო ოთო ქვეყნა", შემდეგ საღებავების კო-
ლოფები გადაარჩია, ლურჯ კოლოფში ფუნჯი ამო-
აგდო და თავის გვარს დიდი ლურჯი ია მიუხატა
ბერდით.

- შენ რა გვაგილებს ხატავ, ბიჭო? - ჩასანა სკამ-
ზე გადაწოლილიყო, მაგიდაზე შემოეწყო ბათინკე-
ბიანი ფეხები და ოთოს სიგარეტს ეწნოდა.
- მიყვარს იგბის ხატვა. თუ გინდა, შენც მიგიხა-
ტავ.

- არ მინდა.
- ბაიას ხატავა ვიცი, ყვითელი საღებავიც გვაქვს.
თუ რამე, არ მოგერიდოს. "აქ იყო ხასანა აქიმ..." და
დიდი ყვითელი ბაია. - ყვრიმალეზე უკვე ძარღვები
უთამამებდა ოთოს.

ხასანამ არაფერი უპასუხა.
მოკლედ, "პეპერლენდს" ლურჯი მავნები დაე-
პატრონებ, და ოთო არა თუ თავს ვერ უხეიქვდა,
თვითონვე ჩააბრა "პეპერლენდს" გასაღები მავ-
ნებს, რომლებიც მათი აკორდების ჩასაწერი რვეუ-
ლის ფურცლებზე ქონიან ხელებს და "ტუშოქიან"
უღებებს იმპლდენენ, მათ მაგიდაზე ღვრიდნენ რუ-
სულ "ვოდკას" და ჭიქებს უჭახუნებდნენ ერთმა-
ნეთს. ერთ-ერთი ასეთი მიჭახუნებისას ოთოს ხელ-
ში ჭიქა გაუმეშდა და იყვინა:

- რას აკეთებ, ე!
ნევროსანმა ბიჭებმა მიიხედეს - გადამთვრალი
ხასანა იქვე მიმდგარიყო კუთხეში და პიანინოს აწარ-
დავდა, იმ პიანინოს, რომელიც იასთვის ჩამოიტანეს

ფარნას ხალიდან, იმ პიანინოს, რომელიც...

ხასანამ მოხედა და ჩაიხიზითა:
- რა იყო, შეშვმა, მოვსმა არ გინახავს?
- გაეთრიე, ეზოში მოფხი, მე... - ოთომ ისე სწრა-
ფად აიტაცა ავტომატი და დაუსვა ხასანას ფეხებში,
რომ განსრეცა ვერავინ მოასწრო.
ხასანა შარდვა-შარდვით გაგარდა სარდაფიდან.
ბიჭებიდან ვიღაცამ გაიცინა.
- გათვრიე სუვეყლა! - იღრიღა ოთომ და ახ-
ლა მად ღუმინა.

ბიჭებმა უხმოდ დადგეს ჭიქები, ჩამოხსნეს "ბუშ-
ლატები" და სათითაოდ გაღადგნენ "პეპერლენდ-
დან". ვერ ხვდებოდნენ, რა ძალა ჰქონდა ასეთი პი-
ანინოს ან მასზე მოშარდვას, რომ ოთარ ქვეყნა მათ
თვალწინ თავიდან დაიბადა. პიანინოს გავება მათ-
თვის ძნელი იყო. პიანინო ან იცი, ან უხერხულად
ხარ მასთან...

* * *

"შენძელში" წყნარი კუთხე მოძებნეს.
ქართულ რესტორნებში ღრიანცელიყო, იამ თქვა.
თუ აქაც დაინყო, სადმე წყნარ კაფეში გადგი-
დეთო, ფარნამ.

ჯერ არ იყო ღრიანცელი. ისხდნენ წყნარად, იცოდ-
ნენ, რომ ახლა ყველაფრის მოყოლას, რაც თავს გა-
დებდათ, არც აზრი ჰქონდა, ვერც მოასწრებდნენ.
ამიტომ ისხდნენ როგორც ოცი წლის წინ სანაპირო-
ზე, გავრამში, ბოლო საღამოს, როცა ფარნამ აარჩია
ნითელი კენჭი, იამ კი - მწვანე და გიომ ერთ-ერთი
კენჭი ამოიღო თავიდან უწყუღმა. ის ამბობდა, რომ
ოში არ იქნება, ფარნა ამბობდა, რომ - იქნება. ჩაყა-
რეს იას ქუდში ორი კენჭი: ნითელი იყო ოში, მწვანე -
მშვიდობა. გიომ თვალები დახუჭა და ამოიღო მწვა-
ნე კენჭი.

მეორე დღეს ია არდადეგებზე წამოვიდა იმერეთ-
ში, ეგონა, რომ ორ კვირამი დაბრუნდებოდა. თან
მწვანე კენჭიც, ნითელთან ერთად, ჯიბეში ეღო...

- იცი, ცოტა ბნის წინ ოთომ დამირეკა, ლამის
ტიროდა. - ამბობს ფარნა და "შენძელის" მიმტანს
თავს უქნევს მადლობის ნიშნად.

- რაო?
- "პეპერლენდში" მისულა. ძლივს იპოვა კარი. მე
თვითონ შემოვიყვანიე აქ მავნები, მაგრამ მე თვი-
თნებე ვაგრეკო.

- ესე იგი, სამდეილი "პეპერლენდი" გამოდგა.
- მართალი იყავი, ოში სისულელეაო, მუსიკის
გარდა არაფერს აზრი არა აქვსო. კიდევ მითხრა,
რომ "პეპერლენდს" აღადგენს და ახალგაზრდების
თვის კლუბს გააკეთებს, ვისაც დაკრა უნდა ჩვენ-
სათვის და არ აქვს შანსი, ყველას ასწავლის და დააკ-
ვრევიდნენ.

- ჩვენი ოთო... რა გეტქა, არ ვიცი. - ჩურჩული გა-
მოუვიდა იას. - რა უთხარი?

- მინდოდა მეტქვა, შენაირი კრეტირები რომ
არა, ეგ ოში არ იქნებოდა-მეთქი, მაგრამ თვითონ
დაიამაწრო. ყველაფერი თვითონ მითხრა, რაც მე უნ-
და მეთქვა.

კიდევ ისიც უთხრა ოთომ, რომ როცა ფარნა დაბ-
რუნდებდა, სკოლა-სტუდიის დირექტორობას მაშინვე
გადაუღოვებს. იამ და ფარნამ არ იცოდნენ, რომ ახ-
ლაც, როცა ისინი ზუგდიდის "მენიელში" ისხდნენ,

ოთო გრძელტარაინი ჯაგრისით ხელში სარდაფში დაბორილუბდა და ქერიდან და კედლებიდან აბლა-ბუღუღის ხსნიდა. მისასვლელი გზა უკვე გაასუფთავა და ნათურების ანთებამდე სანთლების შუქზე მუშაობდა.

- შენ მე გერმანიაში მგონიხარ, - თქვა იამ.
- აღწერისთვის ჩამოვედი.
- კი მაგრამ, ომს არ აღიარებ, ყველაფერს სისულელეს ეძახი და მარტო აღწერას აღიარებ?
- კი. გაგრამი რუსთაველის ქუჩაზე უნდა ვიყო დაფიქსირებული. ეს საჭიროა... - მერე გაიცინა და დაამატა: - ...მსოფლიო წესრიგისთვის. ბოლო-ბოლო, ქრისტე ჩავიდა აღწერაზე...
- ქრისტე არ ჩასულა, მარიამი და იოსები ჩავიდნენ.

- თუ კარგად დავუკვირდებით, ქრისტე ჩავიდა. ისეც ისე იცინოდნენ, ლაღად და ადვილად.
